ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

№ 22 (91) 7 ივლისი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## რედაქტორის გვერდი 2

## მ ძ ლ ა ვ რ ი 2

... დიდი პოლიტიკური და ფინანსური კაპიტალის მქონე **"მძლავრთა"** წრეს-გადასული ქმედებები, მათი დამოკიდე-ბულება კანონისადმი ერთ რუსულ მოსწრებულად ნათქვამს მაგონებს

**"дуракам закон не писан"...**

## მეგრული დამწერლობა არსებობდა...

(ვუბრუნდებით ფესტოსის დისკოს საკითხს)

5-7





## მერაბ კოსტავას მისია

3

## ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4





12

50 წელი ეროვნულ-პატრიოტული გზით

გაზეთი "ილორი" აქვეყნებს წერილების ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს. 12



## მ ა ფ ა ლ უ 8

საერთო ეროვნულ-პოლიტიკური უკმაყ-ოფილების ვითარებაში საქართველოს პარტიულ-მა ხელმძღვანელობამ მი-იღო სტალინის დირექ-ტივა, რომელშიც იგი **"მეგრელი ამხანაგების"** მიერ სამეგრელოს ავტონომიის წამოწყების გამო პასუხისმგებლობას იხსნიდა.



გიორგი ციციშვილი

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ" მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვარით ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო

## ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ზულა-თია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ — სამშობლოს სიყ-ვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმ-რებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

11



ედუარდ შევარდნაძე ნიღბით და უნიღბოდ



ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"





9

## ქოთანში გამოყვანილი პალმა

10



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ძ ლ ა ვ რ ი

სწორედ ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ქართული პრესის ფურცლებზე წერილი ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა ნოდარ წულეისკირმა, 1987 თუ 1988 წელს. მაშინ ჯერ კიდევ მძლავრი კომუნისტური პარტია ბატონობდა საბჭოთა კავშირში, რომლისთვისაც არ არსებობდა არავითარი შეზღუდვა და საერთოდ არად მიიჩნევდნენ მათ მიერვე შექმნილ კანონებს და დემონსტრაციულად არ ემორჩილებოდნენ მას. მარტივ სასაუბრო ენაზე ამას **"თავხედობას"** უწოდებენ, ქართველი მწერლის განმარტებით, სიტყვა **"მძლავრი"** ნიშნავდა ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც კანონის სრული იგნორირებით თრგუნავდნენ თანამოქალაქეებს და ხელყოფდნენ მათ ღირსებასა და მოქალაქეობრივ უფლებებს.

კომუნისტური პარტიის დაშლას საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსახლეობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა, რადგან მიამიტურად ჩათვალეს, რომ ადამიანთა ჩაგვრა-შევიწროებას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ, მცდარი გამოდგა მათი მოლოდინი, და თუ რატომ, ამას ახლავე მოგახსენებთ.

როგორც გახსოვთ, 1996 წლის 2 აპრილს თბილისში **„ნატოს, ევროპისა და შეერთებული შტატების ექსპერტების და თანამდებობის პირების მონაწილეობით"** შედგა **„საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებისადმი"** მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილე უცხოელი **„ექსპერტებისა და თანამდებობის პირების"** მთავარი მესიჯი შემდეგი იყო: **„საქართველომ უნდა განსაზღვროს საგარეო საფრთხე და, შესაბამისად, გამოკვეთოს საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიმართულებები... საქართველოში უსაფრთხოების მტკიცე სისტემის შექმნას ობიექტურ მიზეზებთან ერთად მრავალი სუბიექტური ფაქტორიც უშლის ხელს; კერძოდ, მოსახლეობის დაბალი სოციალური და მოქალაქეობრივი შეგნება".**

ვიდრე სხვა წვრილმანებზე გადავიდოდე, გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ 1996 წლიდან საქართველოში განსაკუთრებით აქტიურდება **„სამოქალაქო სექტორი"**, იქმნება **„თავისუფლების ინსტიტუტი"**, მიზანმიმართულად ხდება **„მოსახლეობის დაბალი სამოქალაქო შეგნების" „ამაღლება"**, მოგვიანებით საქმეში ერთვება სოროსის ფონდი, დანარჩენი ყველას გვახსოვს...

საქართველოს **"ვარდმოსილმა"** ხელისუფლებამ ეს მესიჯი გაავრცელა როგორც საჯარისო შენაერთებზე, ასევე ძალოვან სტრუქტურებზე. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა **"საგზაო პატრული"**, რომელიც ჭეშმარიტად დადებითი მოვლენა გახლდათ წვრილმანი ქრთამებით გაწუწკებულ ავტოინსპექტორთა მიერ დატანჯული მძღოლებისათვის. **"საგზაო პატრულის"** მიმართ საყვედურს დღესაც ვერ ვიტყვით, რადგან ისინი მართლაც წესიერად და მიუკერძოებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, სხვა ძალოვნებზე კი კარგს ვერაფერს მოგახსენებთ...

როგორც ჩანს, მხოლოდ მაღალი ხელფასი არ კმარა საიმისოდ, რომ ძალოვან სტრუქტურაში დასაქმებულმა ადამიანმა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა. ხოლო, როცა ხელისუფლებას ძალოვანი სტრუქტურის მეტი არავინ უჭერს მხარს და მისი ძალაუფლების საყრდენი მხოლოდ პოლიციელი გახლავს, იგი ყოველნაირად მადლიერი უნდა ჰყავდეს, რათა მასვე არ შეუბრუნოს სოციალური პრობლემებით საპროტესტოდ განწყობილ მოსახლეობაზე მიღერებული იარაღი. სწორედ მაშინ იწყება ძალოვნებისათვის **"ჭახრაკების"** მოშვება და საზოგადოების დაყოფა **"მტრებად"** და **"ჩვენიანებად"**. მერე რა, რომ **"მტრებად"** თითქმის მთელი საქართველო მოიაზრება. სამაგიეროდ **"ჩვენიანები"** კბილებამდე არიან შეიარაღებული და ნებისმიერ საპროტესტო დემონსტრაციას **"პროტესტანტთა"** კბილების მტვრევით დაშლიან.

პოლიციელთათვის ამგვარი აგრესიული განწყობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ ისინი მკვეთრად გამოირჩეოდნენ უბრალო ხალხისაგან, სარგებლობდნენ განუსაზღვრელი უფლებებით, პასუხი არ მოსთხოვონ სერიოზული კანონდარღვევის, თვით უდანაშაულო ადამიანის მკვლელობისათვისაც კი, მიიღონ შემოსავალი იმ **"მოღვაწეობისაგან"**, რისთვისაც უბრალო მოკვდავს ხანგრძლივი ვადით მოუწევდა ციხის კედლების ხეხვა.

ერთის სიტყვით, პოლიციელმა უნდა იცოდეს, რომ თუ მის დაცვაში მყოფ ხელისუფლებას საპროტესტოდ გამოსული ხალხი დაამხობს, მან შეიძლება უამრავი ის პრივილეგია დაჰკარგოს, რაც მას კანონის უხეშად დარღვევის შესაძლებლობას ანიჭებს. ამიტომ, პოლიციელმა ხელისუფლება კი არა, საკუთარი **"კეთილდღეობა"** უნდა დაიცვას საპროტესტოდ გამოსული განრისხებული ხალხისაგან. მერე რა, რომ ქვეყანას გამოუსწორებელი ზიანი ადგება ხელისუფლების ნებსითი თუ უნებლიე მტრული მოქმედებისაგან. მთავარია, რომ **"ძალოვანი"** თვითონ გრძნობს თავს შესანიშნავად, და ამიტომაც არ დაუშვებს ხალხის იმ პროტესტის მატერიალიზებას, რამაც შეიძლება ისტორიის სანაგვეზე მოისროლოს მისი **"საყვარელი"** ხელისუფლება (სიტყვამ მოიტანა, და ამ კატეგორიას ის **"ოპოზიციონერებიც"** უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც გუშინ მთავრობაში იყვნენ **"თბილად"** მოკალათებულები და მხოლოდ იქიდან დაცურების შემდეგ ატეხეს ერთი ვაი-უბედურება).

ერთის სიტყვით, გინდა პოლიციელის საბუთი გდებია ჯიბეში და გინდა გიჟისა – შენს მიერ ჩადენილ დარღვევებსა თუ დანაშაულზე პასუხს მაინც არავინ მოგთხოვს...

სირცხვილის გრძნობა მიწვავს ზურგს, მაშინ, როცა მანქანებით გადაჭედილ გზაზე ნელა მივიწევ წინ, ამ დროს ჩაგიქროლებს ხოლმე საწინააღმდეგო ხაზზე მიმავალი მანქანა. იმაზე ვნერვიულობ, რომ ეს ამაზრზენი სურათი უცხოელმა არ დაინახოს, რაც კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მას ჩვენი საზოგადოების არასრულფასოვნებაში.

როგორ ფიქრობთ, ვინ არის ეს მძღოლი? ამგვარი დარღვევისთვის ხომ, რაც, საავარიო სიტუაციის შექმნად კვალიფიცირდება, საკმაოდ დიდ ფულადი ჯარიმაა დაწესებული.

რა თქმა უნდა, იგი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელია, რომელიც ღრმადაა დარწმუნებული საკუთარი კანონსაწინააღმდეგო ქმედების დაუსჯელობაში და ამიტომაც იქცევა ესოდენ თავხედურად. მერე რა, რომ ეს თავხედობა არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი საზოგადოების შინაგანი კულტურის დეფიციტის მიმანიშნებელია. მთავარია სხვებზე ადრე მივიდეს სახლში და შემდეგ მეზობლებთან დომინო ითამაშოს, ან გვერდში მდგომს ნიშნისმოგებით უთხრას: ნახე, რა მაგარი ბიჭი ვარ, შენ ხომ ამის გაკეთებას ვერ გაბედავო!

ვანდალიზმი და უკულტურობა განა სხვა რამეა? ვანდალიზმი მხოლოდ მატერიალური კულტურის განადგურებას არ ნიშნავს. ვანდალიზმის ყველაზე მძიმე ფორმა სწორედ რომ სულიერი კულტურის გამადგურება გახლავთ.

მძლავრია მართვის ერთპარტიული სისტემის დამნერგავი უზურპატორი, რომელიც შემდეგ თავის ხუშტურებით მართავს ქვეყანას და, როგორც ქართველები ამბობენ, **"ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად"**. განა მხოლოდ იმიტომ არ გავითავისუფლეთ თავი მართვის კომუნისტური ერთპარტიული სისტემისაგან, რომ ისინი ყველაფრის უფლებას აძლევდნენ საკუთარ თავს? კომუნისტები იმით მაინც გამოირჩეოდნენ, რომ ებრძოდნენ ხელმრუდ და სულმრუდ ადამიანებს, დღევანდელი ერთპარტიულობა კი ნიშნავს ერთი მუჭა მოძალადეების მიერ წრესგადასულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, ხალხისათვის არასასურველი ტენდენციების დამკვიდრებას, ხალხისა და სახელმწიფოს ჯიბეებში ხელის ფათურს და სხვა უამრავ უბედურობებს.

მძლავრი არის ის ხელისუფალი, რომელიც არ იღებს კრიტიკულ ობიექტურ შენიშვნას, ის პროკურორი, რომელიც კანონს უგულვებელყოფს და **"ზემოდან"** წამოსული მესიჯის შესაბამისად წყვეტს ამა თუ იმ ადამიანის ბედს, პოლიციელი, რომელიც კანონის უპირველესი დამცველი უნდა იყოს, მაგრამ თავად თელავს ფეხქვეშ კანონს...

სამწუხაროდ, ძალზე დიდია **"მძლავრთა"** კატეგორიას მიკუთვნებულ ადამიანთა სია. სწორედ მძლავრთა **"დამსახურება"** გახლავთ ის, რომ ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოში მენტალურად უმდაბლეს სახელმწიფოთა კატეგორიას მიეკუთვნება და ჩემი ერთი **"გერმანისტი"** მეგობრის სინანულით ნათქვამისა არ იყოს: **"ევროპაში ქართველებს ისე გვიყურებენ, როგორც ლაბორატორიაში გამომწყვდეულ საცდელ თეთრ ვირთხებს"**.

აი, რის ფასად უჯდება საქართველოს, რაოდენობრივად ერთი მუჭა, მაგრამ ხარისხობრივად დიდი პოლიტიკური და ფინანსური კაპიტალის მქონე **"მძლავრთა"** წრესგადასული ქმედებები. მათი დამოკიდებულება კანონისადმი ერთ რუსულ მოსწრებულად ნათქვამს მაგონებს **"дуракам закон не писан"**, რაც კანონის შეგნებულად დამრღვევებს ბრიყვთა და კლინიკურ გიჟთა რიგებს მიაკუთვნებს.

კეთილი, ბატონო, ვისაც დიდი სურვილი აქვს, იყოს ბრიყვიცა და გიჟიც, მაგრამ, ამას ნუ გააკეთებს შუა ქალაქში, ყველას დასანახად, რადგან თბილისს დღეს უამრავი უცხოელი სტუმრობს, რომელთა შთაბეჭდილებაც ამა თუ იმ ქვეყანაზე ყალიბდება მისი მოქალაქეების საქციელის შესაბამისად.

მძლავრი იყო ყვარყვარე თუთაბერი, რომელიც უდანაშაულო ხალხით გამოტენილი ციხეებით ამაყობდა. მაგრამ, ის იყო ერთი **"თუთაბერი"**, დღეს კი საქართველოს **"თუთაბერების"** მთელი არმია ჰყავს შესეული, რაზედაც აშკარად მეტყველებენ უდანაშაულო ადამიანებით გამოტენილი ციხეები, სადაც უამრავი ღირსეული პიროვნება მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით არის გამომწყვდეული.

მძლავრია პოლიციელი, რომელიც დაუჯერებელ სისასტიკეს ავლენს თანამოქალაქეთა მიმართ, მხეცურად უსწორდება განსხვავებული აზრის მქონე ახალგაზრდებს და უწყინარ სიტუაციას ხელოვნურად ძაბავს თავისი არაადექვატური მოქმედებით.

მძლავრის **"სანიმუშო"** მაგალითია **ცსკო**-ს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი. მას ერთმა ახალგაზრდამ მიაყენა შეურაცხყოფა, რისთვისაც ციხეში გაისტუმრეს. თარხნიშვილმა კი, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების თავხედურად გაყალბებით მთელ საქართველოს მიაყენა შეურაცხყოფა, მაგრამ მისთვის ამაზე პასუხი არავის მოუთხოვია...

სწორედ მძლავრის თავხედური აკვიატების შედეგი გახლავთ ის, რომ საქართველოში გამართულ სილამაზის კონკურსში, ყველა წესისა და წესდების უგულვებელყოფით გაამარჯვებინეს განათხოვარ და პასუხისგებაში მყოფ **"ზანოვანს"**... ეს სამარცხვინო ამბავი კარგა ხანს რჩებოდა მსოფლიოში საქართველოს გაკილვის საგნად.

მხოლოდ საკუთარ უძლეველობაში ღრმად დარწმუნებული მძლავრი არად ჩააგდებს საზოგადოებრივ აზრს, აღადგენს რუსეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით გაუქმებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას ძველ საზღვრებში და უბრძოლველად გადასცემს მას მოწინააღმდეგე მხარეს, ააფეთქებს ისედაც მცირემიწიან რაჭაში ჩრდილოეთ მხარესთან დამაკავშირებელ ხიდს და ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე გადასცემს მოწინააღმდეგეს კიდევ ორმოცდაათ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას, ხოლო ამ ფაქტიდან მოსახლეობის ყურადღების გადასატანად მოაწყობს საქართველოს პარლამენტის სკანდალურ სხდომას, რაც ქუჩაში გამოსული ხალხის პროტესტის ფონზე ჩაივლის. და ამას ყველაფერს მძლავრი აკეთებს ამერიკელებთან წინასწარ შეთანხმებული, საქართველოს დამღუპველი მასონური საიდუმლო პროგრამის მიხედვით.

როგორ ფიქრობთ, ამდენი უკეთურობის ჩამდენი მძლავრი ასე იოლად დათმობს ხელისუფლებას და თავად დასკუპდება განსასჯელის სკამზე, რათა მკაცრად აგოს პასუხი მის მიერ ჩადენილ იმ ანტიქართულ ქმედებათა სერიებზე, რამაც დაღუპვის პირას მიიყვანა საქართველო?

ნეტარ არიან მორწმუნენი, თუ მართლაც გვწამს ამგვარი აბსურდისა!

მაგრამ, **"მძლავრის"** გასამართლება იმ შევარდნაძით უნდა დაიწყოს, რომელიც გახლავთ საქართველოში დატრიალებული ყოველი უბედურების პირველწყარო.

მძლავრი იყო ედუარდ შევარდნაძე, თავისი ყალბი პათოსითა და თვალთმაქცთა ვეებერთელა აპარატით, თავისი ცნობილი მიწერებით, რის გამოც ციხეებში გამოლპა უამრავი შეცდომაში შეყვანილი ადამიანი, სიტყვაშეუბრუნებელი მართვის სისტემითა და **"ჯიბის"** ძალოვნებით. სწორედ შევარდნაძე ახერხებდა, რომ დაუფარავი სიცრუით მოეწია საქართველოში იმაზე ხუთჯერ მეტი ყურძნის, ჩაისა და ხილის მოსავალი, რაც ფაქტიურად მოდიოდა ჩვენს მიწაზე. ხოლო, ვინც ამის თაობაზე კრინტს დასძრავდა, უკეთეს შემთხვევაში ციხის კედლების ხეხვა მოუწევდა, უარეს შემთხვევაში კი დახვრეტა. სწორედ საკუთარი ვაჟკაცობისა და პრინციპულობისათვის დაახვრეტინა ედუარდ შევარდნაძემ, შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე, თბილისის 26-კომისრის სახელობის აღმასკომის თავმჯდომარე, სრულიად უდანაშაულო ადამიანი იუზა კობახიძე, რომელმაც გაბედა და საჯაროდ მიანიშნა შევარდნაძეს მის მიერ ჩადენილ მრავალ სიყალბეზე.

სიბოროტე მხოლოდ სიბოროტეს შობს, და როცა შევარდნაძე დაბერდა და ძველებური შემართებით ვეღარ ანგრევდა საქართველოს, ხელისუფლებაში მოიყვანა ახალგაზრდა **"მძლავრი"** და უფრო ენერგიული დამანგრეველი სააკაშვილი, რომელმაც ხუთ წელიწადში საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი გადაულოცა სეპარატისტებს.

ამრიგად, **"მძლავრი"** მამის – შევარდნაძის მიერ დაწყებულ საქართველოს გაცამტვერების გეგმას შესაშური მონდომებით ახორციელებს **"მძლავრი"** შვილი – სააკაშვილი!

ახლა დღის წესრიგში დგას მოწინააღმდეგისათვის ყაზბეგის რაიონისა და პანკისის ხეობის გადაცემის საკითხი და მიხეილ სააკაშვილი ისე არ წავა ხელისუფლებიდან, ვიდრე საქართველოს მტრების ამ განაზრახს სისრულეში არ მოიყვანს.

მხოლოდ მძლავრი თუ მისცემს თავს უფლებას, მისივე ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით გაღატაკებულ-გაწამებულ მოსახლეობას უმტკიცოს, რომ წინანდელთან შედარებით ისინი ახლა ბევრად უკეთესად ცხოვრობენ, რომ მომავალში უფრო უკეთესად იცხოვრებენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა საქართველო მისგან წართმეულ ტერიტორიებს დაიბრუნებს, თუმცა, როგორ **"დაიბრუნებს"**, ამაზე კრინტს არ სძრავს, იმიტომ, რომ კარგად იცის: **"აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველო ვერასოდეს დაიბრუნებს და იგი უიმედოდ არის დაკარგული".**

ამგვარი როყიო დაპირებებით მძლავრი ხელისუფლებაში თავის უბადრუკ ყოფას იხანგრძლივებს, რათა ჯერ დაასუსტოს, შემდეგ კი გაანადგუროს საქართველო და ამით თავიდან აიცილოს ქართველი ხალხის რისხვა.

ტრაგედიაა, როცა **"მძლავრი"** ეთნიკურად ქართველია, მაგრამ ორგზის ტრაგედიაა, როცა იგივე **"მძლავრი"** საქართველოს ისტორიულად მტრად ქცეული ერის შვილია და ჩვენი ქვეყნის განადგურებით თავის მშობელ ერს უხდენს მრავალსაუკუნოვან ოცნებას იმის თაობაზე, რომ მთელ კავკასიაში მხოლოდ სომხები უნდა ცხოვრობდნენ.

ამიტომ, ისინი, ვინც არჩევნებში მძლავრს აძლევენ ხმას, მათ უნდა იცოდნენ, რომ მხარს უჭერენ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განადგურების ვერაგულ სომხურ გეგმას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავას მისია!



***როცა დიდ ლიდერებზე ვფიქრობ, ჩემთვის მნიშვნელოვანია იმის შეგრძნება, თუ რისგან შესდგებიან ეს ლიდერები, რა არის იმ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ერის წინამძღოლს ქმნის. საიდან ის უხილავი ძაფები, რომლითაც დიდი პიროვნება ასიათასიან აუდიტორიას სრულად ერწყმის და მასთან ერთად მთლიანი ორგანიზმი ხდება?!***

რაღაც აურა ყველას გააჩნია, მეტნაკლებად, ბევრს უკრავენ ტაშს, მაგრამ გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა ორატორის ყოველი სიტყვა უამრავი მსმენელის გულამდე მიდის და სწორედ იმ სიმს ელამუნება, რომელიც მას სტკივა.

მესმის, რომ ტრიბუნის ხელოვნებას საგანგებოდ ეუფლებიან, ითვალისწინებენ მსმენელის სულიერ მდგომარეობას და ათას ნიუანსს, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ხელოვნურია და ზოგჯერ ჭრის, ზოგჯერ არა.

მერაბ კოსტავას არასოდეს უსწავლია ტრიბუნის ხელოვნება. დანამდვილებით ვიცი, წინასწარ არასოდეს დაულაგებია გამოსასვლელი სიტყვა. ის განიცდიდა, ფიქრობდა და იწვოდა ხალხთან ერთად. სიმართლე კი ისეთი ფენომენია, რომელიც ელექტრონზე სწრაფად ვრცელდება და ყველგან აღწევს.

მისი განვლილი ცხოვრება მაგალითი იყო ერისათვის; მისი ტანჯული გზა ყველა ქართველის გულზე გადიოდა; მას არ გააჩნდა არავითარი საიდუმლო, უფლის მისიის გარდა. ნებისმიერმა იცოდა მისი ცხოვრებისეული ნიუანსი, ადამიანური სისუსტეებიც კი. მერაბის არსი ვერ ეტეოდა ბუმბერაზ სხეულში, ვლინდებოდა ყველაფერში: სახის გასაოცარ ნაკვთებში, მიხვრა-მოხვრაში, სიტყვაში, კალამში, სიმღერასა და თქვენ წარმოიდგინეთ, ტრაპეზშიც კი. დაუმატეთ ამას ნამდვილი უბრალოება და თქვენ მიხვდებით, რატომ უყვარდათ ის ასე გამორჩეულად.

მიუხედავად ჭეშმარიტი უფლისმიერი სიყვარულისა და სიახლოვისა, მე არ მახსოვს ვინმეს ფამილარული დამოკიდებულება მერაბისადმი. პირიქით, როცა იგი გამოჩნდებოდა თავის სულიერ ძმასთან ერთად, უპირველესი რეაქცია გარინდება გახლდათ, თითქოს რაღაცამ ათასობით გული ერთად შეჰკრაო. შემდეგ ამას საყოველთაო აღტაცება მოჰყვებოდა, როგორც სულიერი მდგომარეობის გამოვლინება.

ხალხის ასეთ დამოკიდებულებას მერაბისა და ზვიდისადმი ზოგიერთი ვაიქართველი კერპებისადმი ლტოლვით ხსნის. ასეთებმა, უბრალოდ არ იციან, რა არის უფლისმიერი სიყვარული და როგორ და რაში ვლინდება ის. როდესაც შენ არ ძალგიძს დიდი ტვირთის აწევა, ის მაინც უნდა შეძლო, განდევნო შური საკუთარი გულიდან იმ პიროვნებისადმი, რომელიც ამ ტვირთს შეეჭიდა და აიღო თუნდაც კბილების ღრჭიალით. თუმცა, ეს რომ შეძლო შენ თითონ უნდა იყო პიროვნება!..

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება: მერაბ კოსტავამ, ამ ზექართველმა, რომელმაც ყველაფერი, მათ შორის სიცოცხლეც გაიღო სამშობლოსათვის, ზვიადთან მიმართებაში ავთანდილობა გამოაცხადა. მეტიც, ავთანდილობა ძნელიაო ძალიან!

პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ სიტყვებში, ისევე როგორც მისი ცხოვრების წესში, ჩანს მერაბის სიდიადე.

საკუთარი აზრის განმეორება არ არის ლამაზი, ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ მერაბისა და ზვიადის თბილისში დაბადების ჩემეული წვდომა უნდა გავიმეორო. ეს ორი, გენეტიკურად პროვინციელი ბიჭი, თბილისში იბადება. ამ ფაქტმა გაუადვილა მათ (კარგი გაგებით) თბილისის **"დაპყრობა"**, რომელიც მიუღწეველია, თითქმის, ყოველი ჩამოსულისათვის. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს იყო უფლის დახმარება მისიის შესაცნობად. ცნობილია, რომ უფალმა ადამიანს მისცა გონება, ხოლო მის გამოსახატად – სიტყვა; გზის არჩევა კი მთლიანად დააკისრა მის სინდისს. ესე იგი, ადამიანი რობოტი არაა, თავისუფალია მოქმედებაში, მაგრამ ვაი მას, ვინც თავის დიდ ან მცირე მისიას ვერ აღიქვამს.

შემდეგ იყო კონსტანტინეს ოჯახი, სადაც მერაბი ფაქტიურად, იზრდებოდა; მაგრამ რაოდენ პარადოქსულად არ ჟღერდეს, კონსტანტინეს ოჯახის აურა მხოლოდ დაეხმარა მერაბს ზექართველად ჩამოყალიბებაში, რადგან მისი სულიერი სამყარო დაბადებიდან ეძებდა, ისრუტავდა და იდუღაბებდა მოსმენილ საუბრებს, ინფორმაციას, წიგნებს!...

ჩვენ უნებლიედ ვადგებით ინდურ სენტენციას – **"არის მოწაფე, – არის მასწავლებელი"**, რომელსაც მე სრულიად ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ მასწავლებელი იხსნება მხოლოდ მაშინ, თუ ღირსეულ მოწაფეს შეხვდება. გავბედავ და ვიტყვი: გიორგი ჭყონდიდელის პიროვნება ვერ შესდგებოდა დავითის გარეშე, თუმცა, უჭყონდიდლოდ, დავითსაც დააკლდებოდა ბევრი რამ.

მოკლედ, არსებობს ძირეული–დაბადებითი და შეძენილი თვისებები. მხოლოდ მათი ბედნიერი ერთობლიობა ქმნის ზეპიროვნებას.

აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ ერთ რამეს.

ქართული ეროვნული ცნობიერების მაღალ დონეზე მატარებელი და გამავრცელებელი არ ნიშნავს ყველა სფეროში საუკეთესოს. ეს არის აბსურდი, რომელსაც ჩვენ დაჟინებით გვახვევენ და გვაბრალებენ ჩვენი მტრები.

საქართველოში ბევრი იყო და არის მერაბზე ნიჭიერი პიროვნება; ბევრი, ალბათ, არანაკლები ვაჟკაცი და მოაზროვნე; ბევრიც – ქრისტეანიზმის და ქართველობის მატარებელი, მაგრამ, თვისებათა ერთობლიობით, მერაბისნაირი ქართველი ცოტაა. ღმერთო, მაპატიე შედარება: მერაბის არსში, როგორც ასეთში, სამ ქართველს ვხედავ: – შალვა ახალციხელს, სვიმონ პირველს, ქეთევან წამებულს.

ახლა მე სახიფათო სათქმელს მივადექი. თუ ვერ ჩამოვაყალიბებ, მკითხველი გამამტყუნებს და მართალიც იქნება. გულწრფელობის იმედი მაქვს, ვნახოთ.

მერაბის ლექსზე მინდა ვთქვა ორიოდ ფრაზა.

ვფიქრობ არავის ეპარება ეჭვი, რომ მერაბი პოეტია; მეორეს მხრივ, ნაკლებად საუბრობენ მასზე, როგორც პოეტზე; ცოტა ვინმემ თუ იცის მისი ლექსი ზეპირად; რატომ?

**პირველი** და მთავარი მიზეზი: საქართველომ მერაბ კოსტავა მიიღო მთლიანი არსით, როგორც ეროვნული, თავგანწირული, მოაზროვნე, მწერალი და ჭეშმარიტად სახალხო ერისკაცი. ასეთი პიროვნებისაგან ერს არ უყვარს რომელიმე ერთი თვისების გამოყოფა (ისევე, როგორც ილიასთან). სხვათა შორის, პიროვნების მთლიანობაში აღქმა ერის სიმაღლეზეც მეტყველებს.

**მეორე**: მერაბს არა აქვს ისეთი სტრიქონები, უცბად რომ აღძრავს ემოციას. სიტყვის შემდეგ მისი უპირველესი მიზანი აზრია, რომლის გამოსახატავად ის საგანგებოდ ეძებს მკაცრ ფორმებს (ხაზს ვუსვამ: მკაცრს, მაგრამ ლამაზს). მის სტრიქონებში ვერ იპოვით ყალბი ინტონაციის ნასახს, არა აქვს ფორმისადმი ხარკის გადახდის მიდრეკილება, თუმცა მისი სიტყვა სანთელივითაა ჩამოქნილი, ხოლო სახე უზადოა და მისეულ დვრიტას გავს. ლექსი, ხომ, ბოლოსდაბოლოს, ესაა: გაქვს თუ არა სათქმელი და როგორ ამბობ მას. ხოლო, რაც შეეხება სათქმელს:

**"უხსოვარ დროში დედამიწა**
**სხვაგვარი გახლდათ,**
**ცნობიერების ბატონობდნენ**
**სხვა უნარები;**
**ატავიზმისგან ხელყოფილი**
**თუ არ განახლდა**
**და სამერმისოდ დვრიტად**
**შენში თუ არ ჩასახლდა,**
**წარსულს სინედლის სიო**
**თუ არ მიეკარება,**
**გადაშენებით დასრულდება**
**გადაგვარება!„**

ეს ლექსი სუფრასთანაც წაიკითხება, მაგრამ არა ღრეობის დროს. აქ მერაბი ფიქრისკენ მოგვიწოდებს. ეს ის მერაბ კოსტავაა, რომელმაც სამეგრელოში მრავალათასიან მიტინგზე დაიქუხა, – მე არ მინდა საქართველო აფხაზეთის გარეშე! ახლა კი ეგრეთწოდებულ ბილბორდებზე ასეთი წარწერაა (რომელმა იდიოტმა მოიგონა): – **გვახსოვდეს აფხაზეთი!**

კარგი, გვახსოვს, მერე –რა?

სრულიად აღიქვა და შეასრულა მერაბ კოსტავამ თავისი მისია აფხაზეთის მოვლენებში.

15-16 ივნისის მოვლენების შემდეგ მთელი საქართველო მიაწყდა აფხაზეთს. უკვე დაღვრილია სისხლი, მოკლულია უდიდესი ქართველი ვოვა ვეკუა. (ჯერ-ჯერობით სრულიად დაუფასებელი საქართველოში). ღალიძგასთან ხალხის უზარმაზარი რაოდენობა იკრიბება. ქართველები შიშველი ხელების ამარა ცდილობენ გაღმა გადასვლას. იქ კი მტრადქცეული, გუშინდელი სისხლი და ხორცი ელოდებათ იარაღით ხელში!..

ცოცხალ ქართველებთაგან, ალბათ, ზვიადის გარდა, ერთად ერთი მერაბი იყო, ვისაც შეეძლო იმ ტალღის შეჩერება და დიდი უბედურების აცილება თავიდან. მან ეს შეძლო.

მერაბ კოსტავა ხალხისკენ შემოტრიალდა, აწეული ხელებით მიწაზე დაიჩოქა და დაიგრგვინა: – მხოლოდ ჩემზე გადავლით შეხვალთ იქ!

ვისაც მერაბის ხმა ერთხელ მაინც გაუგონია, უნახავს მისი მოძრაობა და ჟესტები, ზუსტად წარმოიდგენს ამ სურათს.

გაირინდა ხალხი, ვერ გაწირა თავისი საყვარელი პიროვნება, ვერ გადაუარა მას.

აქ საქმე მარტო სისხლისღვრის თავიდან აცილებაში არაა. მერაბს ერთნაირად უყვარდა აფხაზები და ქართველები: განუმარტავდა ყველას, რომ ამ დაპირისპირებაში იმპერიული ძალა დარჩებოდა გამარჯვებული ორივე მხარის დამარცხების ფონზე.

მერაბ კოსტავას ფიზიკურ განადგურებას (რაშიც მე ღრმად ვარ დარწმუნებული) ერთადერთი მიზანი ჰქონდა, – დიდი ტანდემის დაშლა, რათა უფრო ადვილი ყოფილიყო საქართველოს დამარცხება.

ახლა ძნელია თქმა, მაგრამ, ვფიქრობ, პუტჩი მაინც მოხდებოდა, რადგან მაშინდელ ნახევარ მსოფლიოს არ აწყობდა თავისუფალი და ამაყი საქართველოს არსებობა.

მერაბი, ზვიადი და მათი დაღუპული თანამებრძოლები უბედნიერესი ადამიანები არიან საკუთარი მისიის შეცნობითა და მისი შესრულებით. ისინი თავგანწირვისთვის მზად იყვნენ და იმიტომ არიან რჩეულნი, ასე, რომ უბედურება და დიდი ტრაგედია მათი თვითშეწირვა კი არ არის: ტრაგედია სამშობლოს დამარცხებაა. ამის ნათელი მაგალითი დღევანდელი საქართველოა, – არეული და დაშლილი.

ეს ცალკე საუბრის თემაა და შორს წაგვიყვანს.

დავუბრუნდეთ მერაბის პიროვნებას.

არიან ადამიანები, რომლებმაც უზარმაზარი სახელი მოუტანეს საქართველოს მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებასა და სპორტში მოღვაწეობით, მაგრამ მათი უმრავლესობისაგან განსხვავებით, მერაბს ჰქონდა ხალხთან დამოკიდებულების განსაკუთრებული თვისება, რომელიც მას ჭეშმარიტ სახალხო ერისკაცად აქცევდა.

ზვიადის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მერაბს არასოდეს ჰყოლია დაცვა (ეღიმებოდა დაცვის აუცილებლობაზე), მაგრამ მუდმივად დაჰყვებოდა გულშემატკივართა დიდი არმია.

აფხაზეთის მოვლენების დროს საერთოდ არ ჰქონდა დასვენების დრო, მაგრამ ხანდახან რომ წათვლემდა ზუგდიდის სასტუმროში (დევკაცებსაც ხომ ჭირდებათ ძილი), მისი ოთახის კარი ღია იყო ყოველთვის. ნებისმიერს შეეძლო შესულიყო და გაეღვიძებინა აუცილებლობის შემთხვევაში. დროს მნიშვნელობა არ ქონდა.

მერაბის ხასიათის შტრიხებისათვის ერთ მაგალითს მოვიყვან და ამით დავამთავრებ.

ერთმა ზუგდიდელმა (სამწუხაროდ მისი გვარი არ მახსოვს) მერაბს კაცი მიუგზავნა და მორიდებით თხოვა, მობრძანდით, სუფრა გელოდებათო; მაპატიეთ, მაგრამ ოცი კაცის გამასპინძლების შესაძლებლობა მაქვსო.

მერაბმა გადახედა გარსშემოხვეულ ხალხს, თავისებურად აიქნია ხელი და დაიგრგვინა: – წავედით, გვატიჟებენ. გაჰყვა, მინიმუმ ოთხმოცი კაცი. მათი უმრავლესობის არც სახელი იცოდა მერაბმა და არც გვარი. ასეთი იყო მერაბ კოსტავა. ვერ შეირგებდა ლუკმას, თუ გვერდზე მშიერი ეგულებოდა.

საბედნიეროდ, ის **„ოცკაციანი“** სუფრა ისეთი აღმოჩნდა, ასსაც დააპურებდა.

**p.s**. სულ ახლახან ტელევიზიით გადმოიცა ერთი **„დიდი ისტორიკოსის“** შეხვედრა სტუდენტებთან. მოულოდნელად, ეს ახალგაზრდა ისტორიკოსი მსოფლიო მოქალაქეობაზე ალაპარაკდა. ეს მასონური ფრაზა ისე იყო შენიღბული, მოწიფულ ადამიანსაც შეაცბუნებდა. მართლაცდა, დიდი პიროვნება არ ეკუთვნის მხოლოდ საკუთარ ერს, ის მთელი მსოფლიოს საკუთრებაა, მაგრამ ეს **„მსოფლიო მოქალაქეობა“** რაღა ჯანდაბაა?!

რა არის და კოსმოპოლიტიზმია, მსოფლიო საზღვრების გარეშე, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნების გარეშე: – ადვილი სამართავი და საბატონო, ერთი ძალის მიერ.

არა, მერაბ კოსტავას თანამემამულენი არასოდეს არ გახდებიან მსოფლიო მოქალაქენი!

**2009 წლის მაისი, თბილისი**

**ვალტერ შურღაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია



სერგეი კრემლიოვი

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

1917 წლის ნოემბერში შეიქმნა ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სტეფანე შაუმიანი. ბაქოში დაბრუნებული ბერია 1918 წლის იანვრიდან მუშაობას იწყებს მის სამდივნოში.

**"პოლიტგაგმომცემლობის"** 1991 წლის კრებულში **"ბერია: კარიერის დასასრული"** (ამ **"დოკუმენტური"** პასკვილის ანალიზის შემდეგ შეიძლება მისი ცალკე წიგნად გამოცემა), 335- გვერდზე **"მრავალმნიშვნელოვნადაა"** აღნიშნული:

**"ზეპირსიტყვიერად, ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ კი ღიად ერთმანეთს გადასცემდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ბერია 1918 წელს იყო ბაქოს კომუნართა დაცვის ოცეულის მეთაური და ყველა გაოცებას გამოთქვამდა, თუ როგორ გადაურჩა ბერია დაპატიმრებას, მაშინ, როცა ბაქოს კომუნართა მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს და დახვრიტეს".**

აქ გაუგებარია ყველაფერი (ან, პირიქით, გასაგებია ყველაფერი)... უპირველესად, რატომ **"ფარულად"** და რატომ **"ზეპირსიტყვიერად"**?

ბერია ხომ მაშინ ასე დიდ ძალაუფლებას არ ფლობდა 20-იანი წლების დასაწყისში (და არც მიილტვოდა ამ ძალაუფლებისაკენ, რისი დოკუმენტური დადასტურებაც არსებობს მის მიერ 1923 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში, რის თაობაზე მე მოგვიანებით მოგითხრობთ), და ვინაიდან არ არსებობდა დოკუმენტური ფაქტები, მაშინ საჭირო იყო ჭორის დახმარება, რომლის თანახმადაც ბერიამ თითქოს საპატიმროებში გააგზავნა ყველა, ვინც მასზე ჭორაობდა.

მეორეც, რატომ დანიშნეს ბერია დაცვის ოცეულის მეთაურად, რომელსაც საერთოდ არ გააჩნდა სამხედრო სამსახურის გამოცდილება? იმ დროის გაგებით იგი უკვე განათლებული ადამიანი იყო და მისი გამოყენება ამ კუთხით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რაც გაკეთდა კიდეც — ლავრენტი საბჭოს სამდივნოში მუშაობდა.

მესამეც, ბერია, რა, ბაქოს ოცდამეშვიდე კომისარი იყო? მას კიდევაც რომ დაეცვა ისინი, მას უფრო შეეძლო გაქცევა და დამალვა, ვიდრე იმათ, ვისაც იგი საბჭოთა ხელისუფლების დროს **"იცავდა"**. მით უმეტეს, რომ ბერია მათ არ იცავდა, რადგან...

რადგან, მეოთხეც, მას არაფერს მისცემდა იმ ფაქტის მიჩქმალვა, რომ მუშაობდა ასეთ სერიოზულ თანამდებობაზე. მით უმეტეს, რომ ამაზე არაფერი სწერია 1923 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში. არაფერი სწერია იმიტომ, რომ ბერია არასოდეს ყოფილა დაცვის ოცეულის მეთაური.

პირიქით, იგი სავსებით ნათლად აღნიშნავდა 1923 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში, რომ რჩებოდა ბაქოს საბჭოს თანამშრომლად 1918 წლამდე, ამ წლის ნოემბრის მოვლენებმა კი მას მაშინ მოუსწრეს, როცა ახდენდა **"საბჭოთა მოსამსახურეების კომისიის ლიკვიდაციას"**.

ამგვარი **"მხილებები"**, ბერიას **"მტრული საქმიანობის"** ამსახველ წიგნებში უხვად მოიპოვება. და მათი გაქარწყლება შეიძლება დოკუმენტების მოშველების გარეშე — უბრალო ლოგიკური ანალიზით.

მაგრამ, მოდით 1918 წლის ბაქოს დავუბრუნდეთ.

მარტის დამლევს მუსავატელებმა ბაქოში ანტისაბჭოთა ჯანყი მოაწყვეს. იგი სწრაფად ჩაახშვეს და 25 აპრილს ბაქოში შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო, რომელშიც შევიდნენ შაუმიანი, აზიზბეკოვი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი... მაგრამ, 18 ივნისს მუსავატელებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი მთავრობა ელიზავეტპოლში (შემდგომში — კიროვაბადი) და კეკლუცობას შეუდგნენ როგორც თურქეთთან და გერმანელებთან, ასევე ინგლისელებთანაც (ჯერ კიდევ ხომ პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა).

დაიწყო ინტერვენციის პერიოდი და 1918 წლის 31 ივლისს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დაეცა. 1 აგვისტოს ჩამოყალიბდა **"ცენტროკასპიის დიქტატურა"**, რომელშიც შედიოდნენ მუსავატელები, ესერები, მენშევიკები, დაშნაკები...

4 აგვისტოს ბაქოს ინგლისელები შემოერტყნენ გარს იმ მოტივით, რომ თითქოს ისინი თურქებისაგან უნდა დაეცვათ. ესე იგი, **"ნაციონალისტმა" "მუსავატელებმა"** კავკასიაში შემოიყვანეს თურქებიცა და ინგლისელებიც და ორივესთან თანამშრომლობდნენ. ისევე, როგორც ესერები...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაქოში პოლიტიკური სიტუაცია კალეიდოსკოპური იყო. 11 სექტემბერს ინგლისელებმა ბაქო დატოვეს და 15 სექტემბერს იგი გერმანელებმა და თურქებმა დაიკავეს. დამკვიდრდა ტერორის რეჟიმი. 20 სექტემბრის ღამეს, სადგურებს აღჩა-კუიუკსა და გადასარბენს შორის ესერებმა (ინგლისელთა თანამონაწილეობით) შაუმიანის მეთაურობით დახვრიტეს ბაქოს 26 კომისარი.

თურქეთის ოკუპაციის პირველ დღეებში ბერია კანტორის მოხელედ მუშაობდა **"კასპიის ამხანაგობის"** ქარხანაში. ასე წერდა იგი 1923 წელს თავის ბიოგრაფიაში: **"ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის კურსის გართულების გამო"** იგი იძულებული იყო სამუშაოსათვის თავი გაენებებინა.

მაგრამ პარტიულ მუშაობას იგი თავს ვერ გაანებებდა.

1918 წლის ბოლოს თურქეთი ომიდან გამოვიდა და მათმა ჯარებმა მალე აიღეს ბაქო. 17 ნოემბერს ქალაქი კვლავ ინგლისელებმა დაიკავეს. ახლო აღმოსავლეთსა და მესოპოტამიაში პირველი მსოფლიო ომის ბატალიები დამთავრდა და ამიტომ ინგლისელებმა ახლა ყურადღება კავკასიაზე გადაიტანეს. გამოთავისუფლებული ჯარები (ძირითადად — სიქხები) ირანიდან და ერაყიდან გადმოისროლეს. სამხედრო ექსპედიციის ძირითადი ნიშანი იყო ნავთობმრეწველობის ინტერვენციული მართვის სტრუქტურა.

1918 წლის ბაქოს ერთ-ერთი ნავთობკომპანიის თავმჯდომარემ ჰერბერტ ელენმა გულახდილად განაცხადა:

**"ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები გამოჩნდნენ კავკასიაში... მათ მიესალმენ თურქეთის უღლისაგან და ბოლშევიკებისაგან თავის დახსნისათვის დახმარების მომლოდინე ხალხები. არასდროს, ინგლისს არ ჰქონია იმის საშუალება, რომ ასე მშვიდობიანად გაეფართოვებინა თავისი გავლენის სფერო და მოეცვა ბაქოს ნავთობმრეწველობა. ინგლისს დიდად წაადგებოდა რუსეთის ნავთობის შემომატებაც..."**

ღირს კი, ძვირფასო მკითხველო, ამ განცხადების კომენტირება?

ინგლისელები აღიარებული დემოკრატები იყვნენ და მათი ბაქოში ყოფნისას იქ ჩამოყალიბდა მრავალბინიან სახლში თანაცხოვრების მსგავსი რამ. ინგლისელები თამაშობდნენ ამ **"ბინის"** მეპატრონეთა როლს. ესერები და მუსავატელები — მმართველთა როლს. რომელიღაც **"ბინები"** ეკავათ ოფიციალურ ხელისუფალთ და პარტიებს და ნახევრადლეგალურ მდგომარეობაში მყოფი ბოლშევიკებისთვისაც კი მოიძებნა რაღაც ადგილი. მათ ხელის ხლებას ერიდებოდნენ, რადგან ისინი იღრინებოდნენ და კბენაც შეეძლოთ.

1919 წელს ბერიამ სასწავლებელი დაამთავრა და ტექნიკოსის დიპლომი აიღო. იმ დროისათვის ეს განათლების პატარა რანგს როდი ნიშნავდა და ლავრენტის სწავლის გაგრძელება სწყუროდა. პოლიტიკური მოღვაწეობა მისთვის დროის მოთხოვნა იყო, ბერიას კი სწავლა და არქიტექტორის პროფესიის დაუფლება სწყუროდა.

სამწუხაროდ, მას სხვა საქმის კეთებამ მოუწია.

**"1919 წლის თებერვლიდან 1920 წლის აპრილამდე, — წერდა იგი ავტობიოგრაფიაში, — ვიყავი რა ტექნიკოსთა პარტიული უჯრედის თავმჯდომარე, უფროსი მეგობრების ხელმძღვანელობით ვასრულებდი რაიკომის ცალკეულ პარტიულ დავალებებს და, ამავე დროს, ვიყავი სხვა უჯრედების ინსტრუქტორი..."**

და, აი, ჩვენ ვუახლოვდებით ბერიას ცხოვრების იმ მონაკვეთს, რომელიც **"ცენტრალური კომიტეტის შიდაჟამთაღმწერელის"** ნიკოლოზ ზენკოვიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, **"მოსილია ბურუსით"**. ეს, რა თქმა უნდა, არის მუსავატელთა კონტრდაზვერვაში მოღვაწეობა...

მაგრამ განსაკუთრებით ბურუსით მოსილს, მე აქ, ვერაფერს ვხედავ და მკითხველს ვთავაზობ, რომ ერთად გავერკვეთ ამ ისტორიაში.

ბაქოში 1919-1920 წლების ცხოვრების რეჟიმი განპირობებული იყო იქ ინგლისელ ინტერვენტთა ყოფნით (ოფიციალურად — **"მოკავშირეებად"**). კოლჩაკის 1919 წლის ავანტიურა ჩავარდა, ასევე ჩავარდნა ემუქრებოდა დენიკინსაც ასე რომ, მე-11 არმიის შემოტევის წინ ინგლისელთა და მუსავატისტთა მიერ რეჟიმის გამკაცრება სავსებით ლოგიკური იყო. მით უმეტეს, რომ ბაქოს პოლიტიკური (მთელი კავკასიისაც კი) ცხოვრება მაშინ წააგავდა ბოშა ქალის მრავალშრიან კაბას და მასში გარკვევა საკმაოდ ძნელი საქმე გახლდათ. ცოტა ხანში მე მოვიტან ამ სიტუაციაზე მომავალში საბჭოთა ადმირალის ივან ისაკოვის შეფასებას.

სწორედ ასეთ პირობებში მიმდინარეობს ბერიას **"ბურუსით მოსილი"** ცხოვრება.

**"იმავე წლის შემოდგომაზე პარტია "გუმეტის" რეკომენდაციით მოვხვდი მუსავატელთა კონტრდაზვერვაში, სადაც ვსაქმიანობდი ამხანაგ მუსევისთან ერთად. 1920 წელს, ამხანაგ მუსევის მოკვლის შემდეგ მე ვტოვებ მუსავატელთა კონტრდაზვერვას და სამუშაოდ მცირე ხნით გადავდივარ ბაქოს საბაჟოზე".**

აღნიშნულ ანტიბერიასეულ **"კრებულში"** აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატთა პარტიის **("გუმეტის")** თაობაზე საკმაოდ მწირი და ბუნდოვანი ცნობები მოიპოვება: **"სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მშრომელ მუსულმანებში პარტიული მუშაობის თვალსაზრისით შეიქმნა 1904 წელს და იფუნქციონერა 1920 წლამდე".**

ვფიქრობ, რომ ასეთი მწირსიტყვიანი განმარტება შემთხვევითი არ არის. მოდით, ახლა ჩავიხედოთ **"დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის"** მე-13 ტომში, სადაც სოციალ-დემოკრატთა თაობაზე (202 გვ.) სწერია, რომ იგი შეიქმნა სტალინის ინიციატივით 1904 წელს და მისი მიზანი იყო აზერბაიჯანის მშრომელთა მასებთან მუშაობა და არა მხოლოდ მუსულმანებთან (აზიზბეკოვთან ერთად მას თავკაცობდა ჯაფარიძე და მის ლიდერთა შორის იყო ნარიმან ნარიმანოვი). სტალინის ბაქოში მოღვაწეობის პერიოდი აღნიშნულია იმით, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა **("გუმეტთან")**, რომლის შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო და მასში შედიოდნენ აქტიური ნაციონალისტური ელემენტებიც.

ზუსტად 1919 წლის ზაფხულში **"გუმეტი"** დაიშალა, და როგორც დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშია აღნიშნული, მისი ნაწილი პროლეტარიატის მტერ მენშევიკებს მიემხრო, **"გუმეტის"** ბოლშევიკური ნაწილი კი, შემდგომ, აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიაში შევიდა.

ახლა კი შეიძლება მოვლენათა კონსტრუირება! 1919 წელში უკვე შეიძლებოდა იმის განჭვრეტა, რომ მე-11 არმია ბაქოს შეუტევდა. საამისოდ კი საჭირო იყო ინფორმაციის მოპოვება მტრის მოქმედებებზე და ამიტომაც გადაწყდა ბერიას შეგზავნა მუსავატელთა რიგებში. ეჭვსგარეშეა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა ანასტას მიქოიანიც (თუმცა, როგორც გვიან შევიტყობთ, მას ეს რატომღაც **"დაავიწყდა"**).

ასევე სავარაუდოა, რომ ბერიას მუსავატელებთან შეგზავნაში როლი ითამაშა მ. მუსევიმაც — 1919 წელში იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ორგანიზაციის (ე.ი. კონტრდაზვერვის) უფროსის მოადგილე იყო.

მკითხველს ნუ გააღიზიანებს ამ ორგანიზაციის ზედმეტად რ-რ-რევოლუციური სახელწოდება, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუსევი 1920 წელს დაიღუპა. სწორედ ეს ორგანიზაცია გახლდათ ის მუსავატისტური კონტრდაზვერვა, სადაც მსახურობდა ბერია. აზერბაიჯანის მაშინდელი მარიონეტული ხელისუფლება ხომ შედგებოდა რ-რ-რევოლუციონერებისაგან — ესერებისა და მენშევიკებისაგან. და ისინიც ებრძოდნენ **"კონტრრევოლუციას"**. ებრძოდნენ, მათი გაგებით.

აი, **"გაფხულის ჩვიდმეტი გაელვების"** როგორმა ქარმა გადაუარა ბაქოს იმ წლებში.

მუსავატელებთან ბერიას **"ჩასანერგად"** კარგი დრო იქნა შერჩეული. გათამაშდა სცენა, რომ ადამიანი ვერ შეეგუა ბოლშევიკთა მკაცრ პირობებს და ამიტომაც გადაწყვიტა პოზიციის შეცვლა. იმ დროს (და არა მხოლოდ იმ დროს), ასეთი მეტამორფოზა არავის უკვირდა!

დავუსვათ შეკითხვა საკუთარ თავს: **"ბერია რომ კონტრდაზვერვის საიდუმლო აგენტი ყოფილიყო, რომელიც პარტიაში მუშაობდა, იგი შემდეგ ღიად წავიდოდა კონტრდაზვერვაში?"**

ალბათ — არა!

უფრო ზუსტად — რა თქმა უნდა, არა!

თუმცა, ამის უარყოფაც იოლად შეიძლება — იგი ხომ ღია ფრონტზე არ გაუგზავნიათ, არამედ საიდუმლოზე. არც ბერიას უთქვამს — თავის მოკატუნება არ ვიცი და წამსვე გავიყიდებიო!

მაგრამ, იქნებ ბერია გადაიბირეს მტრებმა კონტრდაზვერვაში მუშაობისას? არც ეს მტკიცდება! მაშინაც კი, როცა ყველაფრის თქმა შეიძლებოდა — 1953 წელს, ბერიას დაპატიმრებისა და **"გამოძიების"** დამთავრების შემდეგ, ამგვარი ბრალდება მისთვის არავის წაუყენებია. მართალია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბაქრაძემ სსრკ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე ბერიას უწოდა **"საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი"**, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვის მასალა იყო.

მთავარი ისაა — ბერია რომ გადაებირებინათ, მისი **"შინაგანი ბუნება"** შეიცვლებოდა! რა სიჯიუტესა და სიმკაცრეზეა საუბარი იმ ცხელ პერიოდში! იგი თავისი თავბრუდამხვევი კარიერის განმავლობაში აუცილებლად მიიქცევდა ყურადღებას. რაც უფრო მაღლა მიიწევ, მით უფრო მეტი ხალხი გიყურებს...

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეგრელოს საამაყო შვილები

# მეგრული დამწერლობა არსებობდა...

### (ვუბრუნდებით ფესტოსის დისკოს საკითხს)



სწორედ ამ სადავო საკითხს მოჰფინა შუქი საბოლოოდ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა გია კვაშილავამ, რომელმაც მსოფლიოს მეცნიერთა ასწლიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ მოახერხა გაეშიფრა **"ფესტოსის დისკო"**.

*გია კვაშილავა დაიბადა 1972 წელს მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში.*

*1989 წელს დაამთავრა ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა.*

*1995 წელს წარჩინებით დაამთავრა ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1998 წელს კი დაამთავრა ასპირანტურა.*

1990 წლიდან მუშაობს კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის **"ფესტოსის დისკოს"** გაშიფვრაზე, რომელიც 2001 წელს დაასრულა. არჩეულია **"ფაზისის"** მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. არის აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსიც. 2007 წლის 27 ივლისიდან არჩეულია საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის ანზორ შონიას აზრით, ქართველი ისტორიკოსები იმიტომ იკავებენ თავს საქართველოს ობიექტური ისტორიის შედგენისგან, რომ თუ ქართული ეთნოსის სათავეებთან რომელიმე ქართული კუთხის წარმომადგენლები აღმოჩნდებიან, ეს გამოიწვევს სხვა კუთხეების მკვიდრების უკმაყოფილებას.

სწორედ ეს არის ტიპიური კუთხური ცნობიერება.

რა მნიშვნელობა აქვს, რომელი კუთხის წარმომადგენლები აღმოჩნდებიან ქართული ეთნოსის სათავეებთან, მთავარია, რომ ყველანი ერთნი ვართ, ერთი ეთნოსის, ერთი ენისა და ერთი სარწმუნოების ჭეშმარიტი ქართველები.

მაგრამ, მავანს ეს არ ესმის და შეგნებულად უმალავს ქართულ საზოგადოებას კოლხური დამწერლობის დამადასტურებელ არქეოლოგიურ მასალებს. ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ კოლხური დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილია კუნძულ კრეტაზე, ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ნამარხებში, მაგრამ, არა საქართველოში. რას უნდა მივაწეროთ ყოველივე? ნუთუ ჩვენი წინაპარი კოლხები იმიტომ ადგენდნენ კვირბებს, რომ შორეულ კრეტაზე წაეღოთ და იქ დაემარხათ? იქნებ ამაზე გაგვცენ პასუხი იმ არქეოლოგებმა, რომლებიც ვანსა და სხვა ისტორიულ ადგილებში აწარმოებენ გათხრებს. სხვა შემთხვევაში ჩვენ სრულ უფლებას ვიტოვებთ ეჭვი გამოვთქვათ იმის თაობაზე, რომ მავანნი შეგნებულად უმალავენ მსოფლიო საზოგადოებას უძველესი კოლხური დამწერლობის ნიმუშებს, რადგან **"ეს გამოიწვევს საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრეთა უკმაყოფილებას"**.

ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ ხელისუფლებასთან საეჭვოდ დაახლოებულმა ზოგიერთმა ქართველმა ჟურნალისტმა, რომლის ქართველობაც სერიოზულ ეჭვს იწვევს, ნაცვლად იმისა, რომ მოელოცა წარმატება ახალგაზრდა მეცნიერისათვის, ისეთი შურისა და ბოღმის ნაკადი შეაორთქლა მას, რომ სხვა საბუთი საჭირო არ გახლავთ მისი მეგრელოფობიის დასადასტურებლად. თან ამას აკეთებს ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი გურამ გოგიაშვილი, ადამიანი, რომელსაც იმდენი გაეგება ენათმეცნიერებაში, რამდენიც ცხვარს ფარმაცევტიაში. მაგრამ მან **"თქვა"** ვიღაცეების საამებლად, ტალახი ისროლა, მაგრამ თავადაც რომ არ ელოდა, ისე აღმოჩნდა ამ ლაფში ამოთხვრილი. გოგიაშვილისა და მისთანებისთვის მიწაში ჩამარხული განძი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლო – ოქრო და ვერცხლია, და არა თიხის დისკო, რომელიც იმდენად ძვირფასია, რომ ღირებულება პრაქტიკულად არ გააჩნია.

ამის დასტური გახლავთ ის დიდი საერთაშორისო რეზონანსი, რომლითაც მსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიერები შეეგებნენ გია კვაშილავას მართლაც უნიკალურ მიგნებას.

ავტორიტეტული მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მაშინ ხმელთაშუა ზღვის აუზში მცხოვრები კოლხები წარმოადგენდნენ მაღალი დონის ცივილიზაციას, რომელსაც მომთაბარე ტომები ვერაფერს დააკლებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის 1500 წელს კრეტის მახლობლად, კუნძულ თერაზე მოხდა ვულკანის ამოფრქვევა, რამაც კრეტა და სხვა კუნძულები გაანადგურა. კრეტის სანაპიროებზე ახლაც ყრია ვულკანის დროს ამოფრქვეული ქვები. შემდეგ კრეტა ბერძნებმა დაიპყრეს. **"ფესტოსის დისკოზე"** გამოსახული ბევრი ნიშანი მომდევნო პერიოდის ჩვენს ძეგლებზე გვხვდება. მაგალითად, გვხვდება როზეტი, რომელსაც ჩვენთან **"აია"** ჰქვია (იგივე **"ვარდული"**). სულხან საბას ლექსიკონში არის მითითება რომ, სადაც ეს ნიშანია, მზე იგულისხმება. აია გამოხატულია ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარზე, გვხვდება ღვთისმშობლის ხატზეც და ეს ყვავილი მისი სიმბოლოა. ფესტოსის დისკოზე ერთადაა გამოხატული **"აია – ვარდული"** და მტრედი. მსგავსი ნიშანი (ზუსტი ასლი) არის ასახული XI საუკუნის პატარა ონის ეკლესიის ორნამენტზეც. ფესტოსის დისკოს შროშანი სიცოცხლის სიმბოლოა, ის ხშირად გვხვდება ბოლნისის ტაძრის ჯვრებზე...

2008 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიის შენობაში (ბერლინგტონის სასახლე, პიკადილი), ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებაში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კუნძულ კრეტაზე დოქტორ ლუიჯი პერნიეს მიერ ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავს.

კონფერენციის ორგანიზება და სპონსორობა გაუწია დიდი ბრიტანეთის ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალ **„მინერვა"-ს** რედაქციამ. ბატონ გია კვაშილავას იქ მიესალმენ მეგობარი-კოლეგები, რომლებიც აღტაცებას ვერ მალავდნენ ქართველი მეცნიერის გაუგონარი წარმატების გამო.

**"პროფესორო კვაშილავა, გილოცავთ ფესტოსის დისკოს შესახებ თქვენი გამოკვლევის მოსალოდნელ გამოცემას. ყოველთვის მაინტერესებს რას ამბობენ სხვები, ძალიან მინდა შევისწავლო თქვენი აღმოჩენები უფრო ღრმად, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება. როგორც იცით, არსებობს ფესტოსის დისკოს შესახებ საწინააღმდეგო შეხედულებები, და თუ ვერ ვნახეთ ამ დამწერლობის ნიშნების მეტი მაგალითები, ნაკლებ სავარაუდოა, რომ რომელიმე თეორია საყოველთაოდ აღიარებულ იქნეს, როგორც ჭეშმარიტება. მაგრამ ამან თქვენ არ უნდა დაგაყრევინოს ფარ-ხმალი, იმის კეთებაში, რაც გაგიკეთებიათ; იკვლიეთ დისკო ახალი პერსპექტივით და გამოაქვეყნეთ აღმოჩენები. თქვენი დებულებები პროფესიონალურია და საინტერესო. კვლავ გილოცავთ...**

**გისურვებთ კეთილ იღბალს თქვენს შემდეგ გამოკვლევებში".**

**დოქტორი ქით მესი (აშშ),**

**ლინგვისტი**

**დასკვნა**

„2007 წლის 17 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში ჩატარდა მათემატიკოს გია კვაშილავას ფესტოსის დისკოს დეშიფრირებასთან დაკავშირებული მოხსენების განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები: რისმაგ გორდეზიანი, ნანა ტონია, ლევან გორდეზიანი, ეკატერინე კობახიძე, ლელა ჩოთალიშვილი, თამარ ჭეიშვილი, ნიკოლოზ შამუგია და სხვები. განხილვა წარიმართა რამდენიმე საათის განმავლობაში. მომხსენებელს შესაძლებლობა მიეცა, დეტალურად წარმოედგინა თავისი კვლევის შედეგები. გაიმართა საინტერესო დისკუსია.

**ინსტიტუტის თანამშრომლების საერთო აზრი ამგვარია:**

1. ბატონმა გია კვაშილავამ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაო ფესტოსის დისკოს დეშიფრირების ისტორიის, პრობლემების შეწავლისა და კრიტიკული ანალიზის მიმართულებით.

2. საყურადღებოა ის არგუმენტები. რომლებსაც იგი გვთავაზობს ამ წარწერის წაკითხვის მიმართულებასთან დაკავშირებით.

3. დამაჯერებელია მისი თვალსაზრისი გარკვეულ ნიშანთა პოზიციისა და მათი სემანტიკური თუ მორფოლოგიური ფუნქციების ურთიერთმიმართების შესახებ.

4. ნაკლებად დამაჯერებელია ნიშანთა ფონოლოგიური მნიშვნელობების დადგენის ის პრინციპები, რომელსაც ბატონი გია გვთავაზობს.

5. დისკუსიაში მონაწილეების აზრით, ჯერ-ჯერობით არ არის საკმარისი მკვლევარის არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, რომ წარწერა ნამდვილად ქართველურ, კოლხურ ენაზეა შესრულებული. თუმცა თეორიულად, რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ წარწერა ქართველური ტიპის ენაზე იყოს შესრულებული."

**რისმაგ გორდეზიანი,**

**სრული პროფესორი, ფილ. მეცნ. დოქტორი, ჯავახიშვილის**

**სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური**

**ფილოლოგიის, ბიზანტიკისადა ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი,**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი**

**ფესტოსის დისკოს ქართველი წამკითხველი საენათმეცნიერო სემინარზე**

(ამონარიდი)

**„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათმეცნიერების დეპარტამენტის მუდმივმოქმედ სემინარზე – 2007 წლის 11 ივნისს მოისმინეს კვაშილავას მოხსენება „ფესტოსის დისკოს გაშიფვრა"...**

**კვაშილავამ მოკლედ გააცნო დამსწრეთ 1908 წელს კუნძულ კრეტაზე, ქ. ფესტოსში აღმოჩენილი დისკოს საუკუნოვანი ისტორია, დაახასიათა მისი გაშიფვრის მცდელობები და დისკოს მკვლევართ ღირსეული პატივი მიაგო. მას არც საკუთარი გარჯა დავიწყებია გამშიფრავთა წამოწყებულ საქმეში, კერძოდ კი წაკითხვის დაწყება ცენტრიდან და არა გარეთა ხვეულიდან, მომხსენებელმა დამაჯერებლად დაასაბუთა. წინამორბედ მკვლევართა თანახმად ამავე რიგის აღმოჩნდა წარწერის დასასრულის ნიშანი. უნდა აღინიშნოს ერთიც: მომხსენებელმა წინამორბედთაგან განსხვავებით ყურადღება გაამახვილა ერთი და იმავე ნახატ-ნიშნების ძნელად შესამჩნევ განსხვავებულ მდებარეობაზე, რაც მის ფაქიზ მკვლევრისეულ უნარზე მეტყველებს. მოხსენების ეს ნაწილი ინტერესით იქნა მოსმენილი...**

**... ახალგაზრდა მკვლევარს თავის კვლევა-ძიებაში დიდად წაადგა მათემატიკური განათლება, მდიდარი წარმოსახვისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, რამაც მას საშუალება მისცა 17 წლის ფაქტიურად უწყვეტი შრომის შედეგი კვაზიალგორითმის სახით მოეწოდებინა საზოგადოებისათვის. ამასობაში ბ-ნმა გიამ აითვისა არეალით მოტივირებული ყველა დამწერლობითი სისტემა და შტუდირების წესით გაეცნო დიდძალ სპეციალურ ლიტერატურას. შესაშურია მისი თვალსაწიერი და ინტელექტის დონე საკვლევი საკითხის შესახებ..."**

**მარიკა ჯიქია,**

**პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**

**საენათმეცნიერო სემინარის მდივანი**

**2007 წელი**

ამ საენათმეცნიერო სემინარს ესწრებოდნენ პროფესორები: ირინე მელიქიშვილი, რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი, ეთერ სოსელია, ოთარ ქაჯაია და სხვები.

**აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დასკვნა**

**ფესტოსის დისკოს დეშიფრირების შესახებ**

საქართველოს სამეცნიერო წრეები დიდი ინტერესით ეცნობიან მათემატიკოსის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს ბატონ გია კვაშილავას მეცნიერულ მიღწევებს ფესტოსის დისკოს დეშიფრირებასთან დაკავშირებით.

2007 წლის 8 ივნისს, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით ბ-ნმა გ. კვაშილავამ თბილისის კინოს სახლში გააკეთა მოხსენება: ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა, რომელსაც მოწვეული მეცნიერების გარდა ესწრებოდა მრავალი დაინტერესებული მსმენელი.

ბ-ნ გია კვაშილავას მოხსენების ირგვლივ დასმული შეკითხვებისა და სიტყვით გამოსული მეცნიერების მსჯელობის საფუძველზე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია აკეთებს შემდეგ დასკვნას:

1. ფესტოსის დისკოს პროტოქართულ – კოლხურ ენაზე დეშიფრირებასთან დაკავშირებით მკვლევარს ჩატარებული აქვს უზარმაზარი მოცულობის შრომა, რომლის ყოველი დეტალი მეცნიერებისთვის და დაინტერესებულ პირთათვის სრულიად მისაწვდომი და გასაგებია;

2. კვლევის მეთოდები, რითაც იგი სარგებლობდა ფესტოსის დისკოს დეშიფრირებისას, მეცნიერულად სრულყოფილია, დახვეწილი და ლოგიკურად გამართული, რამაც საბოლოოდ განაპირობა რეალური შედეგების ჩამოყალიბება;

3. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, დისკოზე ამოტვიფრული ნახატ-ნიშნებისა და უამრავი თანმდევი მასალების ილუსტრაცია და დემონსტრირება ეკრანზე, მისი ეტაპობრივი ახსნა დარბაზში იწვევს მომხსენებლისა და მსმენელთა შორის სრულ ჰარმონიას, რაც უსათუოდ მკვლევარის დიდ ერუდიციაზე მიუთითებს;

4. საზღვარგარეთის ქვეყნების ამ დარგის მეცნიერთა მიერ, ბ-ნ გ. კვაშილავას სახელზე გამოგზავნილი უამრავ წერილში ისინი ძირითადად იწონებენ და მიესალმებიან კვლევის შედეგებს, რაც უსათუოდ ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს მისი აღმოჩენის აღიარების რთულ გზაზე, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში;

5. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მისი ყველა წევრი საჭიროდ თვლის, რომ ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევარს, ბ-ნ გ. კვაშილავას ყოველნაირად შეუწყოს ხელი მისი კვლევის შედეგების აღიარებაში;

6. ზემოთქმულის საფუძველზე აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია მაღალ შეფასებას აძლევს ბ-ნ გ. კვაშილავას ფესტოსის დისკოს კოლხურ ენაზე დეშიფრირებას და ირჩევს აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

**შოთა გოგოხია, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, 2007 წელი**

**„ფაზისის" აკადემიის დასკვნა**

**ფესტოსის დისკოს დეშიფრირების შესახებ**

2007 წლის 30 მარტს ქ. თბილისში

**გაგრძელება მე-7 გვ..**

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



## (ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")



*1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.*

მრავალ წესიერ, თვით გულწრფელ რუს ადამიანებსაც კი ეჩვენებოდათ, რომ ჩემი ამგვარი შეხედულება განპირობებული იყო პირადი გაღიზიანებით, ან სუბიექტური მოსაზრებით, ხოლო ჩემს მიერ მოყვანილი განზოგადოებები არის ძალზე ცალმხრივი და ნაჩქარევი. ახლა კი, მოვლენათა თანმიმდევრობამ თვალნათლივ დაადასტურა ჩემი იმ დასკვნების სისწორე, რისთვისაც ხშირად აღმოვჩენილვარ მძიმე მდგომარეობაში.

ბათუმის ერთ-ერთ პორტში მოწყობილი აფეთქება, სხვადასხვა სახის ქუჩის უწესრიგობები, მატარებლების რელსებიდან გადაგდება ბოროტმოქმედების მიერ, ძარცვის შემთხვევების გახშირება – ერთი სიტყვით, ესაა უბედურებათა დიდი ჯაჭვი, რაც მოიტანა მითითებულმა სამრეწველო-პოლიტიკურმა ტერორმა, რომლის თავკაცებიც უდიდეს სახსრებს ფლობენ. ყოველივე ამან შეავსო კავკასიის ქრონიკის უკანასკნელი პერიოდის ბინძური ფურცლები, თუმცა, ამ მოვლენებსა და მათ მიზეზობრივ მხარეებს შორის ***პირდაპირი კავშირი*** ოფიციალურად დამტკიცებული არ არის.

შემდეგ დაიწყო პოლიტიკური მკვლელობების სერია (ჯამგაროვისა და სხვების), ამასთან, სომხური მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციების შესაბამისად, პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან. ნახევრად ველური თურქ სომეხთა ბანდები, რომლებიც ფაქტიურად შეადგენდნენ ***სომეხ რევოლუციონერთა მოქმედი არმიის დამკვრელურ ძალას,*** იოლად გადმოდიოდნენ ჩვენს მიერ ცუდად დაცულ სამხრეთის საზღვრებზე, და ან სახლდებოდნენ სომეხი ბობოლების მიერ ქართველი გაღატაკებული თავადების თუ თათართა აღალარებისაგან ჩალის ფასად ნაყიდ მიწებზე, ან დადიოდნენ ქალაქქალაქ და სოფელ-სოფელ და მშვენიერ შევსებას წარმოადგენდნენ დაქირავებულ მკვლელთა და დამნაშავეთა ბანდებისათვის.

რამდენიმე წარსული წლის განმავლობაში ქართული საზოგადოების ნაწილი აშკარად გაიხლართა სომხურ ინტრიგებში, რომლის ძირითადი მიზანი გახლავთ კავკასიის მრავალტომიან მოსახლეობას შორის შფოთის თესვა და "ხელსაყრელ შემთხვევაში" (მაგალითად, რუსეთის ჩათრევისას ჩვენთვის არახელსაყრელ ომში) სომხეთის მითიური სამეფოს აღდგენა ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოთა ნანგრევებზე.

რა თქმა უნდა, ეს სულელური ოცნებაა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სომხეთის ისტორია, რომელიც აღსავსეა მოულოდნელი და გაუგონარი ღალატებით, სისაძაგლის ფაქტებით, კაცთმოძულეობითა და სხა უმსგავსოებებით, ხან საიდუმლოდ, ხან კი მთელი არსენალის გამომჟღავნებით ემსახურებოდა ამ ოცნებას. მე-5 საუკუნეში, როცა გაუქმდა სომხეთის სამეფო, სამღვდელოება კათალიკოს ოსეფას მეთაურობით სათავეში ჩაუდგა სომეხთა აჯანყებას სპარსეთის მეფე იუზდიგერის წინააღმდეგ და შემდეგი ნიშანდობლივი მიმართვა გაუგზავნა თავის საწმყსოს: ***"დაე ძმამ ღვიძლ ძმაზე ხელი აღმართოს, თუ იგი ღვთის მცნებებს უკუაგდებს; და მამამაც თანაგრძნობის გარეშე მოუსპოს სიცოცხლე შვილს, ხოლო შვილმა – მამას, და ნუ შეეშინდება ცოლს, ქმარზე ვერაგულად ხელის აწევისა და აუჯანყდეს მსახური თავის ბატონს"***. ასეთი იყო, ჯერ კიდევ მაშინ, მშვიდობიანი მოსახლეობის იმ ნაწილის დამთრგუნველი კლერიკალური (მისწრაფება ეკლესიის გავლენის გაძლიერებისაკენ) ტერორი, რომელიც არც თუ სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას მოპოლიტიკანო სამღვდელოების საშიშ ოინებში. ის კი არა, სომხეთის უახლეს ისტორიაშიც მოიძევება ისეთი ფაქტები, რომელთა გამომზიურება უახლოესი 50 წლის განმავლობაში მიზანშეწონილი არ არის.

ის, რომ სომეხთა ოცნება განუხორციელებელია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, რადგან ხალხი, რომელიც იმსახურებს სახელმწიფოებრივ რწმუნებას, ამას ***ბუნებრივი*** გზით აღწევს. გარე ხელშემშლელი ფაქტორები იმდენად მნიშვნელოვანი არ გახლავთ, რამდენადაც შიდა ფაქტორები. სახელმწიფო მოითხოვს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და პირად კეთილზნეობრიობას, რაც სომხებს არასოდეს ჰქონიათ. ისევე, როგორც ქალაქი დგას "სამ წმინდანზე", სახელმწიფოსაც სჭირდება საკმაო რაოდენობის მაღალსულიერების მქონე თავგანწირული ადამიანები და აგრეთვე ის, რომ ხალხთა მასები გამსჭვალული იყოს სახელმწიფოებრივი იდეალებით, იმის შეგნებით, რომ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ადამიანს უნდა შეეძლოს პირადი კეთილდღეობისა და მრავალი სიამოვნების დათმობა. სამშობლოსათვის არ დაიშუროს არც მატერიალური სახსრები და თვით სიცოცხლეც კი. სახელმწიფოს შესაქმნელად აუცილებელია გარკვეული ტერიტორია, რომელთანაც ხალხი დაკავშირებულია ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში და მაღალი ზნეობრივი ***ტრადიციებით***; დაბოლოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა გახლავთ ხალხის მიდრეკილება შემოქმედებითი, ***არაპარაზიტული შრომისადმი***.

სომხები, რომელთა ძარღვებშიც უპირატესად სემიტური სისხლი სჩქეფს, საჭირო რაოდენობით ვერ ფლობენ სახელმწიფოებრივი ხალხის ნიშან-თვისებებს, არ გააჩნიათ უანგარო შემოქმედებისათვის აუცილებელი მიდრეკილებები, მეტი მისწრაფება აქვთ სპეკულაციისადმი, ვიდრე იმ ყოფისადმი, სადაც არავის გააჩნია სხვისი გაცუცურაკების სურვილი (აი, რას სწერს სომხური ინტელიგენციის თაობაზე 1898 წლის 30 იანვრის გაზეთი "მშაკი", ერთადერთი სომხური გაზეთი, რომელიც ღიად მიუთითებდა თანამემამულეებს მათ ნაკლოვანებებზე: "მთელი რიგი ფაქტორებისა ადასტურებენ, რომ სომეხთა არცერთი საზოგადოებრივი კლასი ისეთი ზარმაცი და უდარდელი არ არის, როგორც ინტელიგენცია. იგი უფრთხის მძიმე და კეთილშობილურ შრომას, საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას!). ავიღოთ მაგალითი! აი, მასწავლებელი, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ცენზი და, ამდენად, ოფიციალურად მოკლებულია სომხურ სკოლაში სწავლების საშუალებას; მას სთავაზობენ, რომ ჩააბაროს გამოცდა დამწყები მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად. იგი უარს აცხადებს ამ შემოთავაზებაზე. იგი ხომ დიდი ხნის მანძილზე ეწეოდა კუსტარულ პედაგოგიურ მოღვაწეობას, იგი ხომ ასწავლიდა საკუთარ მოსწავლეებს მუყაითობასა და შრომის სიყვარულს – თავად კი იმდენად ზარმაცია, რომ არ სურს თავს ძალა დაატანოს და ასეთი უბრალო გამოცდისათვის მოემზადოს, წავიდეს წინ! აი, სომხური სამსახიობო ჯგუფი, რომლებიც მაყურებელს სომხური თეატრისადმი გულცივ დამოკიდებულებას საყვედურობენ, თავად კი მაყურებლის სამსჯავროზე გამოაქვთ ყოვლად უვარგისი პიესები. მსახიობები ისე გამოდიან სცენაზე, რომ როლები წესიერად არც კი აქვთ გაზეპირებული, სხვა თვისობრივ სრულყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ... აი, ლიტერატურული დარგის მუშაკთა მთელი პლეადა, რომელმაც იკისრა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებების სომხურ ენაზე თარგმნა, და ისინი გამოირჩევიან საქმისადმი დაუდევრობით, თარგმნიან ფაცხა-ფუცხით, ხშირად ორიგინალის სიღრმისეული წვდომის გარეშე, ცუდ თარგმანს აწვდიან მკითხველებს, კორექტორული შეცდომებით გადატვირთულს. ჩვენ არ გაგვაჩნია ლიტერატურული, ან სხვა გონებრივი ინტერესების საფუძველზე აღმოცენებული წრეები. ***არც ერთი სამეცნიერო ან საზოგადოებრივი საკითხი არ იპყრობს ინტელიგენციის ყურადღებას,*** რომელიც საერთო ძალისხმევით შეძლებდა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას. და თუ ამგვარი ხალხი მაინც გვხვდება, ***ისინი ყველაფერს აკეთებენ ზედაპირულად, ნაჩქარევად, მოუწესრიგებლად, გაუგებარი ფრაზეოლოგიის გამოყენებით...***"

ამას თუ დავუმატებთ დაბალგემოვნებიანი პოლიტიკანობისადმი სწრაფვას და რუსეთის მიერ ბოძებული უამრავი სიკეთის დაუნახაობასა და რუსეთისადმი უმადურობას, ჩვენ მივიღებთ ისეთ "ინტელიგენტს", რომელიც ძალზე შორს დგას იმ კულტურისაგან, მასზე ასე ხმამაღლა რომ აცხადებენ პრეტენზიას სომხები.

აი, რატომ არის, რომ ისინი, თავიანთი თანამემამულე ებრაელების მსგავსად, მიდრეკილებას იჩენენვაჭრობისა და შუამავლობის სხვადასხვა ფორმებისაკენ, თვით დანაშაულებრივისკენაც კი. ამავდროულად, ისინი, სხვადასხვა აღმოსავლეთელ ხალხთა, განსაკუთრებით კი სემიტთა მსგავსად, საშინლად პატივმოყვარეები არიან. რუსული ეროვნული გრძნობის საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოირჩევა თვითკრიტიკისა და სინდისიერების ძლიერი ელემენტით, ასევე ინგლისური ეროვნული სიამაყის საწინააღმდეგოდ, რომელიც ცნობილ კულტურის მოღვაწეთა სახეებს ეფუძნება, სომეხთა ეროვნული ამბიცია მომდინარეობს მდაბალი პატივმოყვარეობიდან, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ბნელი გზებით მიღწეულ ეკონომიკურ წარმატებებს.

რუსეთის ადმინისტრაციის მიერ აჭრელებული კავკასიის ფინანსურ საქმეებში ხანგრძლივმა ჩაუხედაობამ, ასევე, კავკასიაში ***რუსული ეროვნული ფინანსური პოლიტიკის უქონლობამ წლების განმავლობაში***, დაბოლოს, ქარის მიერ მოტანილმა ნავთობის მილიონებმა ავადმყოფურად გაამწვავეს სომხური პატივმოყვარეობა. აუხდენელი ოცნების მოკიაფე ნაპერწკალი სულ უფრო იზიდავდა სომხებს, და ამასთან, რუსეთის საზღვარგარეთელი არაკეთილმოსურნეები – ინგლისელები, ამერიკელები, გერმანელები, ფრანგი მასონები და მათი "ყოვლადუწმინდესობა" ებრაელები სულ უფრო და უფრო უმატებდნენ ცეცხლში ნავთს. ინგლისურ ფრაკებში გამოწყობილი ნავთობმრეწველი ბობოლები და მათი მკვირცხლი რწმუნებულები იოლად პოულობდნენ ადგილებს ზოგიერთ გავლენიან უცხოურ და რუსულ ცენტრებში, პოლიტიკურ მოღვაწეთა, ბიუროკრატებისა და ზოგიერთ პუბლიცისტთა გულებშიც კი.

ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს გამყიდველური ბუნების ან უპრინციპობის პროცენტი იზომება მასში დასაქმებული ებრაელების რიცხვით, სულ ერთია, იქნებიან ისინი ***შეუნიღბავი ებრაელები თუ გადაცმულები***. როგორც სჩანს, ისინი ყველგან არიან, რადგან საზღვარგარეთის პრესამ წამსვე გაბერა სომხური ბაყაყი და კამეჩის ტოლად აქცია იგი. როგორც სჩანს, არც რუსულ პრესაშია საქმე მთლად კარგად, რადგან სომხური პლუტოკრატიის, მევახშეებისა და პოლიტიკანების კანონგარეშე მოღვაწეობის გამოაშკარავებას ლამის გაცოფებამდე მიჰყავს ეგრეთ წოდებული ლიბერალებიც, რომლებიც, თითქოს და, პირიქით, თვითონ თუ გულწრფელები არიან, მართლაც რომ გაცოფებამდე მისულებმა უნდა ებრძოლონ და თანაგრძნობა გამოუცხადონ მშრომელი ხალხის ექსპლუატატორებისა და ათასი ჯურის თაღლითთა წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც სჩანს, ამ ბატონებს გააჩნიათ პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული პუნქტი, რომლის ძალითაც ისინი მხარს უჭერენ ყოველგვარ რუსულის საწინააღმდეგო მოძრაობას, ყოველგვარს, თუნდაც უმნიშვნელო ძალისას, რომელიც კი შებედავს და საფრთხეს შეუქმნის რუსულ წყობას, წესრიგს და მშვიდობიანობას.

როგორც სჩანს, ამ ბატონებს მოეწონათ სომეხთა შემტევი ყვირილის ხმა და სულისკვეთება და გაზეთის ებრაელობამ იგი რაღაცნაირად მშობლიურ და ძვირფას ფენომენად შეაფასა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს "ყვირილუნარიანობა" უფრო ებრაელურ თვისებას წარმოადგენს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ებრაელები შედარებით ბევრნი არიან და სულიერებით უფრო მდიდრები, რომლებიც მსოფლიოს საკმაოდ დიდი თავსატეხი გაუჩინეს, მაგრამ, ამავდროულად, იგივე მსოფლიო უაღრესად განათლებული და მოაზროვნე ადამიანებით დააჯილდოვეს. ორივე ეს ხალხი ერთმანეთს ჰგავს იმითაც, რომ მიუხედავად ქვემძრომობისა და სულიერი სიმხდალისა, წამსვე აყვირდებიან და არაადამიანურ მოუთმენლობას ავლენენ, მაშინ, როგორც კი მოეჩვენებათ, რომ ძალა მათ მხარესაა.

სომხებს კი მედიდურობის გრძნობა მხოლოდ იმიტომ კი არ გააჩნიათ, რომ თავიანთ ქსელში შესძლეს საფრანგეთის ოდენა ტერიტორიის გახლართვა, არამედ იმიტომაც, რომ ***ებრაელთა ნებისმიერი ინსტინქტის ფლობით გამორჩეული ეს ერი სარგებლობს ქრისტიანის ყოველნაირი უფლებებით***. ასეთ პირობებში კი კანონზომიერი თანასწორუფლებიანობა წარმოადგენს ***ფაქტიურ პრივილეგიას*** კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით.

უკვე დიდი ხანია, მმართველ წრეებში და ბეჭდვით ორგანოებში გაიმის საქმეში საკმაოდ ღრმად ჩახედულთა ხმები, რომლებიც ამ მდგომარეობის არანორმალურობაზე მიუთითებენ. და ყოველთვის, ფულის ძალასა და მოსყიდვის პოლიტიკაზე დაფუძნებული სომხური ორგანიზაციები, სწრაფად პოულობდნენ გავლენიან ქომაგებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პრინციპული ან ნაკლებად პატივსაცემი მოტივაციებით. რუსული ხელისუფლება და რუსული საზოგადოებრივი აზრი დროებით მიიძინებდა ხოლმე და ჩუმჩუმად სრულდებოდა ორმაგი სამუშაო: მხარის ეკონომიკური დამონება და რუსულ სახელმწიფოებრივ საწყისებთან ბრძოლის მზადება.

მრავალი წლის განმავლობაში სომხური განცალკევებულობის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს, როგორც ადრე უკვე აღვნიშნე, ***სომხური თეოკრატია***, რომელიც წარმოადგენს ***სახელმწიფოებრიობის ნახევრადშენიღბულ განსაკუთრებულ ფორმას.*** გარეგნულად ეს ეკლესია, შინაარსითაც კი, უპირველესად, "ეროვნული" დაწესებულებაა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საიდუმლო პოლიტიკურ ამოცანას რელიგიურ მოწოდებაზე მაღლა აყენებს. იგი გახლავთ ეკლესია – არა როგორც ღვთის ტაძარი, არამედ, როგორც საერო ამოცანების გარშემო გაერთიანებული სომხების თავშეყრის ადგილი – იგი ხან ბირჟაა, ხან კი პოლიტიკური და სხვა შინაარსის კრებების ჩატარების ადგილი. კავკასიაში ფართოდაა გავრცელებული სახელწოდება "ეჩმიაძინის" ამგვარი გაშიფვრა – "სახელმწიფო ქაღალდების მწარმოებელი ექსპედიცია".

*გაგრძელება იქნება*

# მეგრული დამწერლობა არსებობდა...

მე-5 გვერდიდან

გაიმართა **„ფაზისის“** მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა **„ფაზისის“** აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის გია კვაშილავას მოხსენებას თემაზე: **„ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა“.**

სამეცნიერო სესიას ესწრებოდა აკადემიის სამეგრელოს, აჭარის, მცხეთა-თიანეთის, ქვემო-ქართლის, გურიის, კახეთის, აფხაზეთისა და სხვა რეგიონების თავმჯდომარეები, 150-მდე მეცნიერი და ამ თემით დაინტერესებული მსმენელები.

კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ეკრანზე გამოსახული იქნა **„კირბის“** ანუ წერილ-ფირფიტის, ფესტოსის დისკოს და მხარე. მათემატიკოსმა გ. კვაშილავამ ყოველი ნახატ-ნიშანი და მათთან დაკავშირებული გამოსახულებები ცალ-ცალკე გამოსახა ეკრანზე. მკვლევარმა პირველმა წარმოადგინა დისკოზე სხვადასხვა კუთხით ამოტვიფრული, ერთიდაიგივე ნახატ-ნიშნები, მაგალითად, **„ძუ ლომის თავი“, „მფრინავი ქორისებრი არწივი“, „ოქროს საწმისი“, „ნავი“** და ა.შ. სხვადასხვა მარცვლებით. ამით ბატონმა გ. კვაშილავამ ამ ნახატ-ნიშნების, მაგალითად, $90^0/180^0/270^0/360^0$-იანი მობრუნების გათვალისწინებით, ისინი სხვადასხვა მარცვლებად წარმოდგენით, დისკოს წარწერა გაშიფრა. თითოეული ნახატ-ნიშანი პროტოქართულად – კოლხურად აამეტყველა. შემდეგ თანამედროვე ქართულ ენაზე ჰწკარედი თარგმანი წაიკითხა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ფესტოსის დისკოს წარწერის სრული ტექსტი, რომელიც წარმოადგენს საგალობელს – **„ნენანას“**; ის ეძღვნება პელაზგურ-კოლხურ ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანას/რეა-კიბელეს.

ბატონი გ. კვაშილავა მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის, ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ფონეტიკური წარმოდგენის დროს მათ ადარებდა სხვა დამწერლობების ნიშნებს (მაგალითად, ეგვიპტური და ხეთური/ლუვიური იეროგლიფები, პროტო-სინაიტური კონსონანტური გრაფემები, ხაზოვანი/მიკენურ-ბერძნული და მონათესავე **ჩ**-ხაზოვანი კვიპროსული დამწერლობების სილაბოგრამები) და მათ ფონეტიკურ მახასიათებლებს.

სხდომის დამსწრე მეცნიერებმა თავიანთ გამოსვლებში ერთხმად მოიწონეს ბატონ გ. კვაშილავას მოხსენებაში წარმოდგენილი ფესტოსის დისკოს დეშიფრირებასთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევის მეთოდები, ზოგადი დებულებები და შედეგები. მათ აღნიშნეს, რომ კვლევის მეთოდები, რომლითაც მკვლევარმა მიაღწია ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულ ნახატ-ნიშანთა ამეტყველებას კოლხურ ენაზე, მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. ამდენად დისკოს წარწერის შინაარსის ამოცნობასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ.

ბატონმა გ. კვაშილავამ 17 წლიანი დაუცხრომელი კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ფესტოსის დისკოზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნები **„კოლხური ოქროდამწერლობაა“** (ბერძნ. **„ხრისოგრაფია“**).

ჩვენი ღრმა რწმენით, ახალგაზრდა ქართველმა მათემატიკოსმა გ. კვაშილავამ ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვით მიაგნო ოთხი ათასი წლის წინანდელ ძველ კოლხების ენას, რომლის დღევანდელ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს საქართველოსა და თურქეთის რეგიონებში, სამეგრელოსა და ლაზეთში შემონახული მეგრული და ლაზური.

ამრიგად, **„ფაზისის“** მეცნიერებათა აკადემია დადებითად აფასებს **„ფაზისის“** აკადემიის ნამდვილი წევრის გია კვაშილავას მიერ წარმოდგენილ **„ფესტოსის დისკოსთან“** დაკავშირებულ მეცნიერულ გამოკვლევებს და მიიჩნევს მას მეცნიერების ამ მიმართულების შესანიშნავ შენაძენად.

**ცოტნე მირცხულავა,**
**„ფაზისის“ აკადემიის პრეზიდენტი,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**
**2007 წელი**

**„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, დიდი მადლობას მოგახსენებთ და გაცნობებთ, რომ მივიღეთ თქვენი ბრწყინვალე მოხსენება“.**

**დოქტორი მარკ მერონი (დიდი ბრიტანეთი),**
**კონფერენციის ორგანიზატორი,**
**ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალ „მინერვა“-ს რედაქტორი**
**2008 წელი**

**„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, თქვენი მოხსენება გამორჩეულად საინტერესო ჩანს, ვფიქრობ, მას დიდი კამათი მოყვება... დოქტ. აიზენბერგი, დოქტ. მერონი და მე მივესალმებით თქვენ მიერ ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მსვლელობაში შეტანილ წვლილს“.**

**დოქტორი პიტერ კლეიტონი (დიდი ბრიტანეთი),**
**კონფერენციის ორგანიზატორი,**
**ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალ „მინერვა“-ს კონსულტანტ-რედაქტორი**
**2008 წელი**

**„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, მოუთმენლად ველოდები თქვენთან და თქვენს კოლეგასთან შეხვედრას კონფერენციაზე; ვგრძნობ რომ მოხსენება ძალიან საინტერესო იქნება“.**

**დოქტორი ჯერომ აიზენბერგი (აშშ)**
**საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე,**
**ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორის ჟურნალ „მინერვა“-ს მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი,**
**სამეფო ათენა გალერიის დირექტორი**
**2008 წელი**

**„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის მრავალ ადრინდელ შეხედულებას ისტორიაზე“.**

**დოქტორი იოხენ ციგენფუსი (ავსტრია)**
**2008 წელი**

**„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, თქვენი მოხსენება კარგად იყო წარმოდგენილი და სრულიად განსაცვიფრებელი იყო. მასში, რა თქმა უნდა წარმოდგენილია დისკოს ამოცანის გადაჭრისადმი საინტერესო მიდგომა. გისურვებთ წარმატებას თქვენს შემდგომ კვლევაში“.**

**დოქტორი ჯერომ აიზენბერგი (აშშ)**
**საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე,**
**ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალ „მინერვა“-ს მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი,**
**სამეფო ათენა გალერიის დირექტორი**
**2008 წელი**

**„ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, ძალიან ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას, რამდენადაც ვიცი, თქვენ დისკოს ერთადერთი მკვლევარი ხართ, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ გამოკვლევაში ჩართო მითოლოგიის პერსონაჟები.“**

**დოქტორი დიტერ რუმფელი (გერმანია),**
**კონფერენციის მონაწილე**
**2008 წელი**

**„ძვირფასო ბატონო კვაშილავა, თქვენ, ცხადია, გმართებთ მოთმინება და სიმტკიცე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სწორ გზას ადგეხართ და საბოლოოდ გაიმარჯვებთ“.**

**დოქტორი იოხენ ციგენფუსი (ავსტრია)**

**2009 წელი, „ძვირფასო დოქტორო კვაშილავა, თუ გახსოვთ, მე კონფერენციაზე გითხარით, რომ განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა თქვენი ანალიზი ნიშანთა ბრუნვაზე, რომელსაც განმასხვავებელი ფუნქცია აქვს... არც ერთ „ორგანულ“ სისტემას არ ვიცნობ, რომელსაც ეს თვისება ახასიათებდეს. ამითაც – თუ ეს დისკოს სისტემის დამახასიათებელი ნიშანია, დისკოს წარწერა კიდევ უფრო უჩვეულო აღმოჩნდა ვიდრე ეს აქამდე გვეგონა“.**

**დოქტორი რიჩარდ სპროუტი (აშშ),**
**კონფერენციის მონაწილე**
**2009 წელი**

ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი
მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ
(ამონარიდი)

**„...ბატონ გია კვაშილავას მოხსენების დროს წარმოდგენილი** იყო მტკიცებულებებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანი მდიდარი კომპიუტერული მასალა – ეს მასალა საგანგებოდ მოიწონეს მოხსენების შემდეგ მსმენელებმა და ორგანიზატორებმა.



მოკლედ ვიტყვი, რომ მოხსენებაში წარმოდგენილი იყო გ. კვაშილავას არგუმენტები დისკოს ტექსტის წაკითხვის მიმართულების შესახებ დისკოს ცენტრიდან პერიფერიისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე ტექსტის წაკითხვის მიმართულებად უმრავლესობის მიერ არაერთგზის დასახელდა პერიფერიიდან ცენტრისაკენ წაკითხვა, ტიპოლოგიური კომპიუტერული მასალით გამაგრებული გ. კვაშილავას ექვსი არგუმენტი არავისათვის არ გამხდარა საკამათო...

წარმოდგენილი იყო ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა წაკითხვისათვის გ. კვაშილავას მიერ შექმნილი ალგორითმი, რომელიც ბუნებრივად ეყრდნობა თვით მასალის გრაფიკულ მონაცემებს და მარტივად, ცალსახად მოიცავს არა მარტო დისკოს ტექსტს, არამედ ვრცელდება, აგრეთვე, იმ სამ წარწერაზეც, სადაც გამოყენებულია ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნები. ესენია: წარწერა არქალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე და ფესტოსის ლარნაკზე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური მასალა, რომელიც მიღებულია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი მეთოდებით პროტო-ქართველური (კოლხური) ენის აღდგენისას. მთელი ეს მასალა ადეკვატურად ასახულა ფესტოსის დისკოს წარწერაში, რაც მტკიცედ უჭერს მხარს გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს კოლხურ (პროტოქართველურ) ენაზე წაკითხვას. ტექსტი თარიღდება იმ პერიოდით, როდესაც ჯერ არ არის მომხდარი საერთო-ქართველურის დაშლა ერთი მხრივ მეგრულ-ჭანურ, ხოლო მეორე მხრივ ქართულ განშტოებებად (ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეული)...

აქვე უნდა დავამატო, რომ მოხსენებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, მან თითქოს წერტილი დაუსვა იმ კამათსა და მსჯელობას, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ლონდონში, სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოების დარბაზში (რომელშიც, სხვათა შორის კარგა ხანს იყო მოთავსებული როზეტის ქვა, სანამ მას ბრიტანეთის მუზეუმში გადაიტანდნენ; აქვე წაიკითხა მაიკლ ვენტრისმა თავისი მოხსენება -ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის შესახებ)...

ეჭვგარეშეა, რომ გ. კვაშილავას მიერ თითქმის ოთხი ათასწლეულის სიძველის უნიკალური ტექსტის ამოკითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს კულტურისა და რელიგიის, მისი ისტორიისათვის, ისე იმ გავლენის შესწავლისათვისაც, რომელიც პროტოქართველურ კულტურას ჰქონდა ევროპულ კულტურაზე...“

ნანა შენგელაია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
(გაზეთი „24 საათი“, №6, 2009 წელი)

„თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბატონი გია კვაშილავას მოხსენება იმ დიდებული, ისტორიული, საერთაშორისო კონფერენციის გვირგვინი იყო“.

ნანა შენგელაია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
(გაზეთი „თბილისი - New York“, №8, 2008 წელი)

„... გია კვაშილავას მოხსენებას გამოეხმაურა, აგრეთვე, ბერძნული გაზეთი შციენცე (18.01.2009), სადაც პროფესორი ტ. კაფანტარისი, თავისი სტატიის ერთერთ ქვეთავში წერს მისი ადრინდელი ვარაუდის შესახებ იმის თაობაზე, რომ ფესტოსის დისკოს წარწერა ეკუთვნოდა მოსახლეობას, რომელიც დომინირებდა ეგეოსის რეგიონში მინოსურზე უფრო ადრე. სავარაუდო იყო, რომ რომელიღაც უძველესმა ენამ იქონია ძლიერი გავლენა ამ რეგიონის ენობრივ გადანაწილებაზე. ტ. კაფანტარისი წერს, რომ ეს მისი ვარაუდი განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იგი გაეცნო ქართველი გია კვაშილავას მოხსენებას ლონდონის კონფერენციაზე. კვაშილავას გამოკვლევამ, რომელსაც ბიძგი მისცა ჰერბერტ ძებიშის გამოკვლევებმა, არა მხოლოდ აჩვენა, რომ დისკოს ენა იმდროინდელი ქართული – კოლხურია, არამედ მან კრეტას დაუკავშირა კორიბანტები და მათი კირბები, ერთმანეთთან დააკავშირა კრეტელი, ლემნოსელი და სამოთრაკიელი კორიბანტები; ენაზე, რომელზეც ისინი ლაპარაკობდნენ, აგრეთვე საუბრობდნენ მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, კოლხეთის მეფე აიეტი, მისი ქალიშვილი მედეა და ოდისევსის მომაჯადოებელი კირკე ... კრეტელებს შეუძლიათ იოცნებონ იმ დროზე, როდესაც ისინი მსოფლიოს ლიდერები იყვნენო, დაასკვნის ტ. კაფანტარისი“...

ნანა შენგელაია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2009 წელი

**„...გია კვაშილავა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი შამპოლიონია... ახალგაზრდა მკვლევარი დამსახურებულად იკავებს თავის საპატიო ადგილს საამაყო მამულიშვილ მეცნიერთა შორის...“**

**გიზო ჭელიძე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**
**(„მწერლის გაზეთი“, №3, 2009 წელი)**

ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ იუწყებოდა:

დიდი ბრიტანეთის ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი **„მინერვა“** (№ 4, 2008; №1, 2009).

ბერძნული გაზეთი BHMA Science (18.01.2009)

აშშ-ს გაზეთი The New York Times _ Science (30.07.2008).

ამერიკის ფილოლოგიური ასოციაცია (**American Philological Association**)

britaneTis epigrafikis sazogadeoba (**The British Epigraphy Society**)

მიჩიგანის უნივერსიტეტის ლინგვისტური საიტი (**Eatern Michigan University. The Linguist List**)

აშშ-ს ვებ-გვერდი **www.USLaw.com** და სხვა უამრავი გამოცემა.

**გვერდები მოამზადა**
**როლანდ შალამბერიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხსოვნის სტრიქონები

**ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.**

### დანიელ ფიფია

# ბულათია

*.ბაღუ ართი დოკიყინი,*
*ვაკო მეტი მაყირაშა,*
*თუმაში მასქა ჭკორიშ ნჯარი*
*გეიშაცენც ნაჭკირაშა.*
*უჩა ზღვა დო გვალაშქას,*
*ცხენწყარიშე ღალიძგაშა,*
*ართკოჩშორო გამგწოდირთგ*
*სამარგალო ძგაში ძგაშა.*
*ცოდა ჯვეში დო ახალქ*
*ქოფუასი ოკო ასე.*
*საარიკო ვეყუაფუ*
*პატგნობა ვამობლასე,*
*დედოფალი მინტებუდასი,*
*თეში ტვინი ვაკულასე –*
*რუსი ხენგწეში კანინეფი*
*სამარგალოს ვადგვაარსე...*

*ბულათია*
*ყუო! რუსი მუშო გოკო*
*ის მუ უღუ ოხიოლე,*
*სქანი რაგადი ის ვარჩქილე,*
*ვარა იშო მუს უწოლე!..*
*მუ მიწო!.. მუ სარიკო!..*
*მუჭო მომირსიოლე!*
*ართიშა კუჩხი მიდგანი*
*უკულ ვეყი კინოკინა,*
*ჩქინი კოც დოუჭყანი*
*ეგებ ნგერიშორო ჯინა.*
*მუჭომი იყი წორო წორო*
*რუსი დო მარგალიში რინა?..*
*მუჭო უჯგუ დოჩალანი*
*ჰამო მარგალური ნინა?!*

*უტუ*
*თიში იყინ, დო თეშინი*
*ჩქინო არძო ართი რე.*
*დადიას ჩქინი ნინა*
*რგსიცალო არჩქილე.*
*ნგერი დო მუში ფერი ტურა*
*ფიფრქე გააბათილე.*
*ტგსი ხენწგიფე მაყინა*
*თურქიშ ხეშე მათხილე.*
*მუშო გოკო თეში გეშა*
*იფჩიათი მიარე*
*სამარგალო დღა დო ჭუმე*
*რგსი ხენწგფეში თიარე,*
*მარა ჰამო მარგალური*
*ვაწურცუნი თინარე,*
*პატგნური მუდოსგრე*
*მახაჩქალიში ნინარე.*
*სი ვამოპუნქი ქუორწყექ,*
*აურეში ცაგიძ გური, თესგ მუთი მაყუნუნი*
*ჩქიმოთგ რდას ჯგირი-ფური.*
*მარა სქანი საქმეშენი*
*მითინცგ დუდი ვადუკინა,*
*ართი მარა ფარნაოზის*
*ობუჯიშე აყი ნტინა.*
*უგინალო სქანი ნტერეცგ*
*ღორონცგ დოუჭყორინუა,*
*დაბადებუს ვოჭყაფუა,*
*დუცუ ქაშუოჭყოლიდუა.*
*ჭკადუეფიში თე რაგადი*
*ჭახანც ხოლო ვეთებუდუ*
*მარა ანწი სინთე ვარდგ*
*ნუზუ მალას ითებუდუ,*
*დაჩხირი ქიგექონებედგ*
*ბუკის ძიოუთ ონტებუდუ,*
*მენძელი ოსურც, ბაღანემც*
*არძოს ქგდორულაფუდუ.*
*ლოგინიშა მიკილეს*
*ქათირჩეს ფორჩა ფალო.*
*ქსდინჯირეს, ქგდარულეს*
*დუდი მინაკლვათაცალო.*

**...თავი უნდა დაიტირონ**
**უსამართლო ბატონებმა.**
**საქმე ისე წავუხდინე,**
**ყოფნის ერთი დაძახება,**
**მეტი აღარც დასჭირდება,**
**თმებზე სისქე ყმების ჯარი**
**გზებზე გამოეფინება.**
**შავ ზღვასა და მთების შუა**
**ცხენისწყლიდან ღალიძგამდე**
**ერთ კაცივით წამოდგება**
**სამეგრელო მთლად იქამდე.**
**ცოდო ძველი და ახალი**
**ავადულო წამოვშალო.**
**საზღაპროდაც არ იქნება**
**ბატონყმობა არ მოვშალო.**
**დედოფალი რომ გარბოდეს,**
**რომ ტოვებდეს მთა და ბარსო**
**ბატონყმობის რუსთ კანონი**
**ჩვენთავაც უნდა დავაარსო**

**ბულათია**
**რაო!? რუსი რაღათ გინდა,**
**რით მოგვიტანს იგი ლხენას,**
**შენი ენა მას არ ესმის,**
**ანდა კიდევ მისი ენა.**
**ეს რა მითხარ საარაკო!**
**ყურში ხმალად გამიყარე!**
**აქა რუსთა შემოცვენა**
**არავის არ გაახარებს.**
**ერთხელ ფეხი თუ მოიდგა**
**არც იფიქრებს უკან ხევას,**
**ჩვენებურს არ იგუებენ,**
**დაუწყებენ მგლურად კბენას.**
**რა იქნება, რანაირი**
**რუს-მეგრელთა ერთად ჩენა,**
**მაშინ რა ვქნათ, მოიშალოს**
**ჩვენი მშობლიური ენა.**

**უტუ**
**ასეა თუ ისეა,**
**აქ თავზარი გვესხმისა,**
**დადიანსაც ჩვენი ენა**
**რუსსავითა ესმისა.**
**მგელი, ტურა ერტფერი**
**არის ტყავის გამცლელი,**
**რუსთ ხელმწიფე გვეყოლებს**
**თურქობისგან დამცველი.**
**რაღათ გინდა ამაზე**
**მწარე ფიქრი ეძიო,**
**სამეგრელო დღეს თუ ხვალე**
**რუსთ ხელმწიფის კერძია.**
**მაგრამ ამო ჩვენი ენა**
**არ წახდება მაშინაც,**
**ბატონური როდის იყო**
**გლეხის შვილის ნანინა.**
**კარგად ვხედავ არ მოყვები**
**ამ გზის საწალმართოსა,**
**მე ეს მტკიცედ გადავწყვიტე**
**რაც რომ დამემართოსა.**
**მაგრამ შენი სატკივარით**
**არვის თავი არ უხარო**
**ერთ კვირაში ფარნაოზი**
**ნახავ ობუჯს გაეცალოს.**
**უნებლიე შენსა მტერსა**
**დავატეხავ ღვთისა წყრომას,**
**დაბადებას ვაწყევლინებ,**
**ვაწყებინებ მიწად ძრომას.**
**ჯერაც აღარ შეწყდებოდა**
**მჭედლებისა საუბარი,**
**სიბნელემან ჩამოქუფრა**
**მიინავლა ნაძვის კვარი.**
**ცეცხლი სულ მთლად ჩაინავლა,**
**კერის ჯირეკს ძკივს ეკიდა,**
**ქალს, მასპინძელს, ბავშვიანად**
**ყველას რული წაეკიდა.**
**ლოგონისკენ გააპირეს,**
**ქვეშ დაიგეს მხოლოდნამჯა,**
**მკვდრული ძილით დაეძინათ,**
**არ დასჭირდათ მისთვის გარჯა.**

# მ ა ფ ა ლ უ

დიდი მოაზროვნე მეცნიერი, შალვა ნუცუბიძე ბრძანებდა – წიგნი, რომელშიც სადაო არ არის, წაკითხვადაც არ ღირს. მაგრამ მთავარია პრობლემის კონცეფციისა და საყრდენი ფაქტოლოგიის შესაბამისობა. ჩემს მიერ მობილიზებული ისტორიის წყაროების ანალიზით უთუოდ მტკიცდება, რომ არ არსებობდა ანტიქართული მეგრული ცნობიერება, არც სამეგრელოს მაგალითზე არსებული **"საქართველოს დეცენტრალიზაციის პროცესები"** და **"ტენდენციები"** არსებობდა და არც საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ აღმოცენებულა **"მაფალუელების მოძრაობა ან მისი რეანიმაციის მცდელობა"**.

მოწინააღმდეგე აზრის ავტორის ეჭვების გამოქვეყნების შემდეგ უკვე დამფრთხალი სპონსორების მობრუნება მრჩებოდა ისტორიისა და ჩემი სიმართლის გამოქვეყნების ერთადერთ საშუალებად. ამიტომ, იძულებული გავხდი 2005 წელს გამოქვეყნებული ჩემი ახალი წიგნის დანართის სახით დამატებით ამესახა შედარებით ვრცელი ანოტაცია – **"მაფალუ, ანუ ეგრეთ წოდებული "მეგრული საკითხის" ისტორია"** (იხ. **წიგნში "მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ"**, გვ. 98-100). მისი შინაარსი ასეთია

***"მაფალუ, ანუ ეგრეთ წოდებული "მეგრული საკითხის" ისტორია"***

ეს არის ავტორის მიერ ათეული წლების განმავლობაში მობილიზებული საარქივო მასალებისა და თემის შესახებ არსებული პუბლიკაციების მყარ ბალავარზე დაფუძნებული ვრცელი გამოკვლევა, რომელსაც ერთვის ისტორიის უნიკალური წყაროები.

წიგნში გაშუქებულია ქართული (მათ შორის სამეგრელოს მკვიდრი) ინტელიგენციის ბრძოლა სამშობლოს განუყოფლობისა და სამეგრელოს კულტურული აღორძინებისათვის. წიგნის გამოქვეყნება-გაცნობით მკითხველს იმის შესაძლებლობა მიეცემა, რომ დარწმუნდეს იმაში, რომ დედა სამშობლოსგან სამეგრელოს მოწყვეტის ცარისტულ მცდელობას მეგრელები განსაკუთრებით თავგამოდებით შეებრძოლნენ.

წიგნში წარმოჩენილია უაღრესად საყურადღებო ცნობები; საქართველოს რუსული იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენის წლებში, სამეგრელოს კულტურული აღორძინების **"მაფალუს"** ჯგუფის შექმნის; მისი პირველი ნაბიჯების; აგრეთვე დამფრთხალი გონების პარტიულ-პოლიტიკანი პატრიოტების მიერ **"მაფალუს"** მეგრული სეპარატიზმის მიწრაფების პარტიად და ცარიზმის რუსიფიკატორების, იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვის, მათ დამქაშთა და აშორდიას მცდელობათა რეანიმაციად გასაღების შესახებ.

წიგნის ცალკეული თავები ეძღვნება საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე სამეგრელოს ერთი კუთხის, ზუგდიდის კომუნისტებში ავტონომისტური განწყობილების წაბიძგებას. მკითხველი გაეცნობა საქართველოში კომპარტიის ცენტრალისტურ-ტოტალიტარული და ავტორიტარულ-ავტონომისტური დირექტივების განხორციელების დროს სამეგრელოს მცხოვრებთა საარსებო პრობლემების იგნორირებით, ადგილობრივი, ავტონომიის მოსურნე კომუნისტების უკმაყოფილების გაძლიერებას. მისთვის ცხადი გახდება, რომ, სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის სატკივართა მიმართ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წაყრუებამ და პარტიულ-ბიუროკრატიულმა დამოკიდებულებამ ზუგდიდელი (ე.წ. **"ჩხოუშიელი"**) კომუნისტებისა და ინტელიგენტების მცირე ჯგუფის მხრივ საკავშირო ცენტრალურ და პარტიულ-საბჭოთა ორგანოებში გაგზავნილი სეპარატისტული მოტივების შემცველი საჩივრებიც გამოიწვია. მაგრამ მსგავს ვნებათაღელვას ფართო რეზონანსი არასოდეს ჰქონია. ამის მიუხედავად, მეგრელთა ავტონომიის და სეპარატიზმის გამო ატეხილმა აურზაურმა 1925 წლის შემოდგომაზე რესპუბლიკური მასშტაბის შოუს ხასიათი შეიძინა. ამის მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობამ და 1925 წლის ზაფხულში **"პარიტეტული კომიტეტის"** აქტივისტების გასამართლებამ გამოიწვია საერთო-ეროვნული უკმაყოფილება და მისით შექმნილი კრიზისიდან ჩეკისტური გამოსავლის დასახვა.

როგორც ცნობილია, სამეგრელოს მოსახლეობამ საქართველოს გასაბჭოებისა და სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის პირველ წლებში, მეგრულ-ეთნიკური პრობლემების გაუარესების მიუხედავად, საქართველოს დამუკიდებლობის აღდგენის მიზნით ორგანიზებულ 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში მიიღო უაღრესად აქტიური მონაწილეობა და დიდძალი მსხვერპლიც გაიღო. გასამართლებულთა შორისაც ბევრი სამეგრელოს მკვიდრი იყო.

საერთო ეროვნულ-პოლიტიკური უკმაყოფილების ვითარებაში საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ მიიღო სტალინის დირექტივა, რომელშიც იგი **"მეგრელი ამხანაგების"** მიერ სამეგრელოს ავტონომიის წამოწყების გამო პასუხისმგებლობას იხსნიდა. ბერიამ **"მეგრულ საკითხზე"** სტალინის აზრის გათვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილებიდან გამოსავალი იმით მოძებნა, რომ ეროვნულ ძალთა ყურადღება სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის და საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ინსცენირების მიმართულებით წარმართა. ამ ფარსის დამაჯერებლობის გაძლიერების მიზნით, მან ამ საქმეში ჩააბა 1924 წლის აჯანყების მონაწილე და ანტისაბჭოურად გამჟღავნებული თვალსაჩინო ქართველი ინტელიგენციის სამეგრელოს მკვიდრი წარმომადგენლები (გიორგი ჟორდანია, თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა). ბერიამ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის წაქეზებაში უსაფუძვლოდ დაადანაშაულა პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი და მისი მდივანი ისაკი ჟვანია. ამით მან სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის ფარსი რეალურ ეროვნულ საშიშროებად გააზვიადა და მისი მოგვარება საერთო-ეროვნულ ღონისძიებად დასახა. ეს იყო ბერიას ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის კიდევ ერთი გამოვლინება. ამით მან სტალინის დირექტივაც განახორციელა, მასობრივი რეპრესიებით შექმნილი საერთო ეროვნული კრიზისიდან იოლი გამოსავალიც მოძებნა და დაბნეული საზოგადოების სიმპათიებიც მოიპოვა. ამის გამო, ზოგის თვალში ლავრენტი ბერია ეროვნული ხასიათის ხელმძღვანელადაც კი წარმოჩინდა.

ბერიას შემდგომი პოლიტიკურკარიერისტული თამაშების დროს (20-იანი წლების მეორე ნახევარსა და 30-იან წლებში) **"მეგრული საკითხი"** არაერთგზის ამოტივტივდა, მაგრამ საჭიროების მიხედვით, კვლავ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის რეანიმაციად გასაღდა. იგი საბოლოოდ 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების დროს **"მოგვარდა"**...

**გიორგი ციციშვილი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# მუზეუმის ერთგული მეგობარი

მარტვილის მადლიან მიწაზე, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ელიავას მიერ დაარსებულ კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერას – ერის სარკეს მუზეუმს, მრავალზე მრავალი პატრიოტი და გამოჩენილი მოღვაწენი ოდითგან აპყრობდნენ და დღესაც აპყრობენ თავიანთ ესოდენ დიდ ყურადღებას, მათი მაღალსულიერების მრწამსიდან გამომდინარე, მათ შორის ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, საქართველოს ჭყონდიდელ-ცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარის, ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, მარტვილის საპატიო მოქალაქის ბატონ *ნუგზარ ნადარაიას ურთიერთობა და პატრიოტული სიახლოვე მუზეუმთან.*

*რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსმა ბატონმა ნუგზარმა თავისი გულისხმიერი დამოკიდებულება მუზეუმის მიმართ, გამოხატა იმ უნიკალური მასალებით, რომელიც მუზეუმის მშვენებაა. აი, ისინიც:* ***კანონიკური ხატი – გიორგი ჭყონდიდელი; წმინდა ანდრია მოციქულის ხატი; გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის სურათები*** *და სხვა მრავალი სახის მასალები და ექსპონატები.*

*მუზეუმის ხელმძღვანელობა და მუშაკები უდიდესი მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალულნი ერის სასიქადულო მამულიშვილისა და მეცნიერის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას მიმართ.*

*ღმერთმა უმრავლოს ჩვენს მაღალცივილიზებულ ერს ასეთი მამულიშვილები და პატრიოტი ადამიანები. ბატონ ნუგზარის ურთიერთობა მუზეუმთან, როგორც დიდი კოლხი ვაჟკაცისა, კვლავ გრძელდება.*

*უნდა აღინიშნოს ბატონ ნუგზარის აქტიური მონაწილეობა მუზეუმის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში. მარტვილის ხელმძღვანელობა და მუზეუმის დირექცია ყოველწლიურად ატარებენ გიორგი ჭყონდიდელისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლის უცვლელი მონაწილე სხვა ცნობილ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან ერთად გახლავთ ბატონი ნუგზარ ნადარაია.*

***გია ელიავა***
***ფაზისის საერო აკადემიის წევრი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

დუკრუასი წავიდა და გაიმართა პოლაპარაკება, მაგრამ ამ მოლაპარაკების შინაარსი ყველასათვის საიდუმლო იყო. ტფილისში ის-ღა გაეგოთ, რომ ბარიატინსკის პირველი მოხსენება მიეღო დეკრუასისა, საიდანაცა სჩანდა, რომ დედოფალი მზად ყოფილა უეჭველათ ისე მოქცეულიყო, როგორც ბარიატინსკის მიერ შემუშავებული პროგრამა უკარნახებდაო: დუკრუასი დასძენდა, რომ თუ დედოფალი გაცხარებული იყო და წინად ნებას არ დაგვყვაო, ამის მიზეზია გამოუცდელობა და ტაქტის უქონლობა იმ პირთა, ვისაც ეს მოლაპარაკება წინად ჰქონია მინდობილიო. მე დედოფლისათვის ცალკე წერილი დავწერე და დედოფალმაც პირობა მომცა – სამ დღეს უკან საბოლაო და კატეგორიულ პასუხს მოგცემთო.

ოთხ დღეს უკან ბარიატინსკიმ ახალი მოხსენება მიიღო დუკრუასისაგან, მაგრამ ეს მოხსენება უკვე ისეთი იმედიანის სახისა არ იყო, როგორისაც იყო პირველი მოხსენება. დედოფლის მიერ დანიშნულმა სამმა დღემ განვლო, აქამდე პასუხი არ გაუცია და კაცი გამოუგზავნა – ავად გახლავართ და სანამ არ მოვრჩები, დუკრუასის ვერ ვინახულებო. ამაზე დუკრუასიმ კაცსა სთხოვა მოეხსენებინათ დედოფლისათვის, რომ იგი სამ დღეზე მეტს ვერას გზით ვერ დარჩებაო და პასუხს ამ სამ დღეში გთხოვს-თქო.

დუკრუასი მესამე მოხსენებაში მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ გორდიდან გავდივარ, დედოფალს წერილი მივსწერე და ვატყობინებ, რომ, ჩემის აზრით, სამეგრელოში მეტსხანს მისი დარჩენა არამც თუ არას არგებს მხარეს, პირიქით, უფრო უარესად გაართულებს სამეგრელოს ისედაც გამწვავებულ მდგომარეობასმეთქი.

დუკრუასისგან ვერავინ ვერასდროს გაიგო, რა გახდა მიზეზად იმისა, რომ მოლაპარაკება ასე ერთბაშად შესწყდა. ხმა კი დადიოდა, რომ მესამე დღის მიწურულში, რომელიც დუკრუასიმ დაუდო უკანასკნელ ვადად, მასთან მისულა დედოფლის საქმისმწარმოებელი და დედოფლის სახელით შეუძლევია დიდძალი ფული ქრთამად – ზოგი ამბობდა – 6 ათასი თუმანი იყოვო, – რომ დუკრუასის მაინც და მაინც არ მოეთხოვნა – დედოფალი სამეგრელოდან გასულიყო. და ვითომც ასეთის წინადადებით აღშფოთებულ დუკრუასის მკვახე წერილი მიეწერნოს დედოფლისათვის, გადაუცია საქმისმწარმოებლისათვის, დაუხურნია ქუდი და ფეხით, მარტოდ-მარტო წამოსულა გორდიდან და მხლებლებისათვის უბრძანებია ცხენებით დასწეოდნენ გზაში. ესენიც გორდიდან ორის ვერსის მოშორებით დასწევიანო. მაგრამ როცა შემდეგში დუკრუასისა ჰკითხავდნენ იმის თაობაზე – ყველაფერი ასე იყო თუ არაო, გადიხარხარებდა და ხუმრობაში ჩაატარებდა კითხვას. შეიძლება ეთაკილებოდა კიდეცა მოეგონებინა ის სასაცილო როლი, რომელიც ასეთი ყოვლად სერიოზულ კაცს ათამაშებინა დედოფალმა სწორეთ იმ წუთას, როცა ეს კაცი გულწრფელად სცდილობდა მას გამოსდგომოდა.

როცა ბარიატინსკის დუკრუასისაგან უკანასკნელი მოხსენება მოუვიდა, საბოლოოდ გადასწყვიტა სამეგრელოში რუსის მართვა-გამგეობა შემოეღო და დუკრუასის მიანდო მართვა-გამგეობის შტატების შედგენა და იმავე დროს ნ. კოლუბიაკინი ტფილისში გაიწვია. ბარიატინსკიმ ძალიან გულითა სთხოვა კოლუბიაკინს ეკისრა სამეგრელოს მმართველის თანამდებობა და დაჰპირდა – ამ ადგილზე მხოლოდ მანამდე გაგაჩერებთ, სანამ მხარე სრულებით დამშვიდდებოდეს, და მერე კი სხვა ადგილს მოგცემთ ისეთს, რომ გენერალ-გუბერნატორისაგან დამოკიდებული არ იყოთო. აი, ამ უკანასკნელის დაპირებით დაიყოლია თავადმა ბარიატინსკიმ კოლუბიაკინი.

პირადი შემადგენლობის მოწყობა თვით კოლუბიაკინს მიანდო და სთხოვა რამდენსამე დღით ტფილისში დარჩენილიყო, სანამ დუკრუასი თვით შტატებს წარმოადგენდა. როცა ეს წერილობითი ფორმალობა გათავდა – კოლუბიაკინთან ერთად სამეგრელოში წამოვიდა **ჩ**-ც, თან წამოიღო დაბეჭდილი პროკლამაციები სამეგრელოს ხალხის მიმართ რუსის მართვა-გამგეობის შემოღების თაობაზე მთავრის მცირეწლოვნობის განმავლობაში. პროკლამაციები ორი სხვადასხვა შინაარსისა იყო შემდეგის მოსაზრებით: ბარიატინსკიმ მიანდო **ჩ**-ს ისევ დაეწყო დედოფალთან მოლაპარაკება იმავე შინაარსის, როგორც უნდა ელაპარაკნა პირველათ ჩამოსვლისას და როგორც ელაპარაკებოდა დუკრუასი. და თუ ამ ხელად დედოფალი საუკეთესოდ ჩასთვლიდა თავისი მეთაურობა გამოეჩინა და საქმე სიამტკბილობით გატავდებოდა, როგორც ესა სურდა ბარიატინსკის, მაშინ გამოაქვეყნებდნენ პირველ შინაარსის პროკლამაციას, რომელიც ასე ისყებოდა: რადგან დედოფალი სამეგრელოდან გადის, შემოღებული იქნება რუსის მმართველობაო. ამ გვარად მთელ ამ საქმეს ნებაყოფლობით სახე და საბაბი ეძლეოდა. მაგრამ უკეთუ დედოფალი ამ წინადადებაზე არ დაჰყვებოდა, მაშინ **ჩ**-ს უნდა გამოექვეყნებინა მეორე ეკზემპლარი პროკლამაციისა, სადაც დედოფალი სრულებით არ იყო ნახსენები, და პირდაპირ აცხადებდნენ რუსის მმართველობის შემოღებისა და მმართველად ნ.პ. კოლუბიაკინის დანიშვნის შესახებ. ეს უკანასკნელი პროკლამაცია დედოფალს ფაქტიურად სამეგრელოს მართვისაგან აშორებდა, და ამის შემდეგ აქა რჩებოდა მხოლო უბრალო მემამულედ და თავის მცირეწლოვან შვილების მამულების ყურისმაგდებლად.

ეს საშუალება, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი იყო, მაგრამ ბარიატინსკი იძულებული იყო ამისათვის მოემართნა დედოფლის ქედმაღლური ტონის გამო. ხოლო საქმის გაჭიანურება მეტად არ შეიძლებოდა, მდგომარეობა დაჟინებით თხოულობდა ასეთ გადაწყვეტილებას.

**ჩ**. გორდში მაშინ ჩამოვიდა, როცა დედოფალთან სტუმრად იყო მისი ბიძაშვილი, თავად გაგარინის მეუღლე, რომელსაც მე წავყევი სამეგრელოში პატარა შერვაშიძესთან (გიორგი) ერთად, ასე რომ, სანამ დედოფალთან მივიდოდა, მე მინახულა და შემატყობინა, რაც დავალება ჰქონდა. საშინლათ ნატრობდა, ნეტავი არ იქნება, პირველი შინაარსის პროკლამაციის გამოქვეყნება მომიხდებოდესო. ამიტომ, ვინ იცის, რა მოსაზრებას არ იგონებდა, რომ დედოფალი დაეყოლიებინა და ურთიერთ თანხმობით გაეთავებინა საქმე, მაგრამ საწადელს ახლაც ვერ ეწია. აუდიენციამ სულ ცოტა ხანს გასტანა, დედოფლის ოთახიდან რომ გამოვიდა, **ჩ**-მ ნაწყენმა გაუგზავნა კოლუბიაკინს სქელი შეკვრა მეორენაირ პროკლამაციისა გამოსაქვეყნებლად და თვითონ მაშინათვე ტფილისში წავიდა.

ყველა ამ საქციელს დედოფლისას, სამწუხაროდ, გასამართლებელი არაფერი ჰქონდა, და მისი ახსნა მხოლოდ შეიძლებოდა, დედოფლის მეტისმეტ გულმოსულობით, რაიცა წარმოსდგებოდა ტფილისიდან მიღებულ ათასნაირ ჭორებით სავსე წერილებისაგან. გულმოსულობით ბარიატინსკის, ვინ იცის, რას არ აბრალებდა. **"ეს ავანტიურისტი პეტერბურგიდან აქ იმისათვის ჩამობრძანდა, რომ წარჩინება და ჯვრები მიიღოს იმ ომისათვის, რომელსაც განგებ აჭიანურებენ, რომ სძარცვონ ხაზინა; ამასვე ჩაბარებული აქვს მთელი მხარე და მთავრებს ისე ცვლის, როგორც მოეგუნებებაო. მე სამეგრელოდან გამიყვანენ, მამულებს ჩამომართმევენ, მე და ჩემს შვილებს რაღაც საცოდავ პენსიას გადმომიგდებენ სამადლოდ და იმასვე მიზამენ რასაც უშვრებოდნენ საქართველოს ბატონიშვილებს და დედოფლებს, ხოლო სამეგრელოს დადიანის მაგიერ სათავეში ჩაუდგება ვიღაც სალდათის შვილი კოლუბიაკინი. მაგრამ მე ამას ვერ მოვითმენ და ისე ვიზამ ყველაფერი იმპერატორისა და იმპერატრიცას ყურამდე მივიდეს, ისინი ნებას არავის მისცემენ დასჩაგროს საცოდავი ქვრივი და მისი მცირეწლოვანი შვილებიო".**

ასეთს სიტყვებს დედოფალი ყველას გასაგონად იძახდა, ძალიან ღელავდა და ბოლოს გულიც კი მოსდიოდა, მისი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო; როგორც ქალი, ღირსი იყო სრული თანაგრძნობისა, მაგრამ თითქოს რაღამაც თვალები დაუბრმავაო, ყველას იშორებდა, ყურს არავის უგდებდა. აღარავის ენდობოდა და შემცთარ გზას დაადგა, – უძლურ გაბოროტების გზას. მარტო თავისი ჩიქოვანები მიაჩნდა ერთგულ და მისანდო ადამიანებად.

კოლუბიაკინმა, ქუთაისში პირველადვე შევხვდით თუ არა ერთმანეთს, თავად ბარიატინსკის სახელით, შემომთავაზა სამეგრელოში ოლქის უფროსის ადგილი. დუკრუასის შტატების თანახმად სამეგრელო გაყოფილი იყო სამ ოლქად: ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისად. პირველ ოლქში დაინიშნა თავადი რაფიელ ერისთავი, მეორეში – მე და მესამეში თავადი კონსტანტინე მიქელაძე. ყოველივე ეს მეტად სწრაფად მოხდა, რადგან სამეგრელო მეტად მძიმე პირობებში იყო და საქმის გადადება არ შეიძლებოდა. ენკენისთვის დამდეგს სამივე ჩვენ-ჩვენს ალაგას ვიყავით. ხოლო დეკრუასიმ აუარებელი დავიწყებული საქმეები გადმოგვცა და თვითონ თავის თანაშემწეებითურთ უკან დაბრუნდა.

თავადს გაგარინს ძალიანა სწყინდა საქმის ასე მოგვარება; მისი შემათანხმებელი საშუალება უარყოფილ იქნა, რადგან ეს საშუალ;ება კითხვას საბოლოოდ ვერა სწყვეტდა; იგი მეც მემდუროდა, რადგან თავს ვანებებდი. მე თვითონ ეს ძალიან მიმძიმდა, ძალიან ვიყავი მასთან დამეგობრებული, მეგრამ ერთის მხრით, თავად ბარიატინსკის მიერ ჩემმა არჩევამ, ხოლო მეორე მხრით – ჩემმა მეტად საინტერესო მომავალმა მოღვაწეობამ გამიტაცეს აქეთკენ.

როცა ქუთაისიდან კოლუბიაკინი ახალ თანამდებობაზე მოდიოდა, რა თქმა უნდა, მასთან აკოფოვიც იყო, გულწრფელად დაღონებული, რომელმაც მაინც გზა დაულოცა ხუმრობით:

– აკი გეუბნებოდით, ნიკოლოზ პეტრეს ძევ, როცა მიქაძემ წერილი მოგიტანა: – დარჩი, ნუ მიდიხარ-მეთქი... არ დამიჯერე, წახველი. დედოფალი ეშმაკი ქალია, იმ ზომამდე გაგაბა ხაფანგში, რომ ახლა შენც-კი დარჩებოდი, მაგრამ არ შეიძლება – ძალაუნებურად უნდა წახვიდე. ზუგდიდიში ჩავალ შენთან პულკის სათამაშოდ, შენ კი მანამდე მიქავას ვინძლო პრეფერანსის თამაში ასწავლო.

### რუსეთის მართვა-გამგეობის შემოღება სამეგრელოში.

რუსის ადმინისტრაციასთან ერთად სამეგრელოში შემოვიდა სახაზო ბატალიონი სრულის თვისის შემადგენლობით და სამი ასეული თერგის ყაზახრუსთა.

ოლქის უფროსის უფლება და კომპეტენცია მეტად ვრცელი იყო; ყოველ მათგანის უშუალო განკარგულებაში იყო ასეული ყაზახრუსთა და, თუ დასჭირდებოდათ, შეეძლოთ მოეთხოვნათ სამხედრო კომანდები. მხოლოდ ასეთ პირობებში და პირად ენერგიის წყალობით შეიძლებოდა დამშვიდებულიყო მხარე. უღრან ტყეებში, რომლებითაც დაფარული იყო მაშინდელი სამეგრელო, იოლი არ იყო კაცს გაეფანტა გლეხთა ბრბოები, გლეხები თავთავის ადგილებზე მიგემაგრებინათ, მოგერიგებინათ ბატონებთან და როგორც ბატონისა, ისე ყმისათვის შეგეგნებინებინათ, რომ მართალია, რუსის მფარველობა იფარავდა ყმებს ბატონის თავგასულობისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ჩვენ ვითომ ვანელებდით ბატონის უფლებას, არამედ ამ უფლებას ბატონ-ყმობის კანონიერების ფარგლებში ვათავსებდით, იმ კანონიერებისაში, რომელიც მაშინ იმპერიის შიგნით არსებობდა. რომ უფრო მარჯვედ და წარმატებით გვემოქმედნა, საჭირო შეიქმნა გაგვეცნო აჯანყების მეთაურები, დაგვეახლოვებინა და მათი საშუალებით როგორც უკვე ცალკე ბრბოებზედ, ისე საზოგადოდ ყველა გლეხზედ გვემოქმედნა.

ეს მეთაურები სამნი იყვნენ: **კოჩა თოდუა, მართალი თოდუა** და **უტუ მიქავა**. ესენი მართლაც თვალსაჩინო პიროვნებები იყვნენ, როგორც თავის გავლენით გლეხებზე, ისე თავის პირად ხასიათითაც.

**კოჩა თოდუა** გლეხი იყო აზნაურ კორძახიასი, რიონის პირას მდებარე სოფელ საჭილაოდან. ორმოცდაათის წლისა იქნებოდა, წარმოსადეგი, ბრგე; საწვრილმანო დუქანი ჰქონდა და ბატონს საურს ფულად აძლევდა. ერთ დღეს გლეხების მოძრაობას თავში ჩაუდგა, როგორც დამცველი თავის თანამოძმეებისა, დაჩაგრულთა და მიწასთან გასწორებულთა. ბელადად რომ გახდა, თითქო გენერალიაო, ისე მოეწყო: გაიჩინა ადიუტანტები, შიკრიკები, მდივანი, რომელიც ბრძანებებს უწერდა; როცა სადმე წავიდოდა, თან მიჰყვებოდა მთელი ამალა, და ზოგჯერ ტახტრევანით დაჰყავდათ კიდეც. გლეხები მასთან მიდიოდნენ და ბატონის წინააღმდეგ საჩივარს აძლევდნენ; ისიც ბატონებს უწყებას გაუგზავნიდა და დაიბარებდა და თუ მოვიდოდნენ, ბევრჯელ მორიგებით ათავებდა საქმეს, ან და დაადგენდა განაჩენს, რომელიც მაშინათვე მოჰყავდათ სისრულეში. თუ მებატონე არ გამოცხადდებოდა, კოჩა თავისს კაცებს გაგზავნიდა ალაგობრივ, რომ მებატონეს გასწორებოდნენ და გლეხები დაეკმაყოფილებინათ. მკაცრი იყო, წესიერება უყვარდა. მებატონენი თვითონა სთხოვდნენ მფარველობას, დაუხვდებოდა, მოუსმენდა და გლეხებს ყოველთვის კი არ ამართლებდა.

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოთანში გამოყვანილი პალმა

თითქმის არ გვიგვრძვნია წელს გაზაფხული თბილისში. ისე მიილია ზამთარი, რომ პირდაპირ ზაფხულის ტანსაცმელზე გადავედით. დიდხანს არც ეს გვაცალა ამინდმა და საშინელი თქეშების საღამოები დადგა... კოკისპირული წვიმის შემდეგ, თითქოს საგანგებოდ გამონათებულ ერთ დილას (ჩვენთან, აფხაზეთში **„გუმოტაროზუას“** რომ ეძახდნენ) მე და შოთა, მარი და სანდროსთან ერთად მცხეთაში წავედით. მარცხენა სანაპიროზე, თამარის ხიდამდე არმისული, დეკორატიული მცენარეებს ჰყიდიან, რომელსაც გვერდს ვერ ვუვლი. მის ხილვაზე აუწერელი სურვილი მიჩნდება ყველა ნერგშეზრდილ ქოთანს, პალმით, კიპაროსით, ლუნგუსტრუმებით, მაგნოლიებით, ვარდებით, წყავისმაგვარი მცენარით... და სხვა მწვანე ნარგავებით სავსე სანაპიროს მოვეფერო, ავივსო მათი ხილვით, რომელიც ჩემს ბავშვობას მახსენებს და ლამაზ მოგონებებთან ერთად საშინელი განცდით სავსე გზით მთავრდება!..

...იმ დილასაც შევჩერდით, ავტოდან გადმოვედით, სამოთხის მცენარეები შევათვალიერეთ. სანდრო პალმას ჩაეჭიდა – **მამიკო ეს მინდა!..** მთლად გამართულად ჯერ ვერ ლაპარაკობს, მაგრამ იმდენს ახერხებს, რომ აზრი გაგვაგებინოს... შოთა დინჯად უყურებს და არ ერევა სანდროს არჩევანში, თუმცა კი იცის, პალმის კი არა, ზედმეტი სკამის დასადგმელი ადგილიც არ გვაქვს სახლში... გავბრაზდი, სად წავიღოთ, პალმა-მეთქი!.. მეუღლემ გადმომხედა, გაიღიმა და პალმიანი ქოთანი მანქანის საბარგულში მოათავსა...

მცხეთა, შიომღვიმე, არმაზის ხევი, ანანური მოვიარეთ. საღამოს შინ წამოვედით. **ნატახტარის** გზაგასაყარზე ახალი ავტობანის **„ბანერზე“** წავიკითხე: **გორი 59, ხაშური 130... სოხუმი 450 კილომეტრი...** თვალთ დამიბნელდა!

...ღმერთო, განა იქნება ამდენი ტყუილი? როგორ შეიძლება მანძილი მხოლოდ კილომეტრებში გაიზომოს?!. ეს ალბათ მათთვისაა დაწერილი, ვისაც მხოლოდ გზაზე გამოსულს ავტობანის გსაგასაყარზე დაკიდული **„ბანერი“** გაახსენებს სოხუმსა და აფხაზეთს...

...ჟამიანი გაზაფხული გვიდგას წელს. **ამინდიც ისეთივე არასანდოა როგორიც ჩვენი ქვეყნის მმართველთა პოლიტიკა!..** გუშინ რომ ქვეყნის იმედად და მხსნელებად გვიხატავდნენ, შინაური თუ უცხოელი, დღეს თურმე არაფრისშემძლეები და არაიშვიათად მოღალატენიც ყოფილან, რადგან ვერ შეძლეს, ქვეყნის უგუნურ მმართველთა მიერ არეული, საქმეების დალაგება გაველურებულ სეპარატისტებსა და მათ მფარველებთან!..

მთელი გზა თვალწინ მედგა ავტობანზე დანახული – **სოხუმამდე 450 კილომეტრი...** მე კარგად მახსოვს რუსთაველის ქუჩა დრანდაში. ის მცენარეები, თბილისში თამარ მეფის ხიდთან რომ იყიდება, ყველგან სარეველასავით იზრდებოდა. გაზაფხულზე იმდენი პალმა ამოიყრიდა, სიმინდს არ ახარებდა... სახლის წინ ყვავილების ტყე ამოდოდა და მის გამოხშირვას ბავშვებს გვავალებდნენ... ბებია იტყოდა – **ყვავილებს მხოლოდ ბავშვის ხელი უნდა შეეხოსო!..**

მახსოვს, დრანდიდან წამოსვლის წელსაც ასე იყო. ფეხს ვერ ვადგამდით ეზოში, ყველგან ყვავილი ამოსულიყო. თითქოს რამდენიმე წლის გასაფურჩქნი კოკორი ერთად ამოიყარა და ბუნებამ საგანგებოდ გამოგვაცილა... ქობულეთში **„გადმოსულმა“** სკოლაში სწორედ ეს გავიხსენე და ქართულის გაკვეთილზე თავისუფალ თემად დავწერე!..

აი, ასე მახსოვს ეს **„გადმოსვლა, სიკვდილს გამორიდება“** აფხაზეთიდან ქობულეთში:

სექტემბრის ბოლო იყო. იმ დილას უცნაური ფაციფუცი ატყდა სახლში. რაღაცაში ვერ თანხმდებოდნენ უფროსები. ბებიამ ცელოფანის პარკებში ჩაგვილაგა თითო ხელი საზაფხულო ტანსაცმელი მე, მაკას და ლევანის – ჩემს და-ძმას და სასწრაფოდ გულრიფშის პორტისკენ გავუდექით გზას. ჭიშკართან უამრავ ყვავილებში პატარა, საოცრად ლამაზი პალმის ნერგი შევნიშნე; დედიკოს და მამიკოს პირველი მე დავემშვიდობე და სწრაფად პალმისკენ დავიხარე, თითქმის შეუმჩნევლად ამოვიღე იგი ღამის ცვარით დარბილებული მიწიდან და რატომღაც ასევე მალულად ჩავდე ცელოფნის პარკში, სადაც ტანსაცმელთან ერთად ჩემი საყვარელი ფოტოალბომიც მედო. მეხუთე კლასი დავამთავრე იმ წელს.

ჩვენს გარდა უამრავი ხალხი დაძრულიყო პორტისკენ, ზოგი ტიროდა, ზოგი ვიღაცას ეძებდა, ზოგიც უკან აპირებდა დაბრუნებას – **სახლში რაღაცა დამრჩა უიმისოდ თავი რად მინდა ცოცხალიო!..** ჩემთვის ყველაფერი ეს გაუგებარი იყო, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, თუ რამე დაგვრჩა დედა და მამა ხომ სახლში დარჩნენ და ისინი გამოგვიგზავნიან მეთქი... აქამდი ხომ ორჯერ დაგვატოვებინეს სახლ-კარი და მეგონა ისევ მალევე მოვბრუნდებოდით. გზაში ბებია არ გვიცილებდა, არაფერი უთქვამს ისე მივადექით ზღვის ნაპირს, სადაც ხალხი ირეოდა. შევნიშნე, ბებია ნერვიულობდა და ვიღაცას ეძებდა. ვატყობდი ჩვენთვის არ უნდოდა ეთქვა და აი ისინიც, მამიდაჩემი და ჩვენი მამიდაშვილებიც გამოჩნდნენ.

გახარებულები მივადექით გემისკენ მიმავალ რიგს... მესმოდა უცნობების საუბარი – **ეს ბოლო გემია და მეტი აღარ იქნებაო, ვაი თუ ვერ ავიდეთო!..** ვერ გამეგო რატომ წუხდნენ ასე, ისე მოვხვდით გემბანზე, სადაც იარაღიანი ხალხი იდგა და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ მამაკაცები არ ამოვიდნენო! **... შეიძლება გემს ესროლონ და ჩაიძიროსო!..**

ამასობაში გემზე ჩოჩქოლი და პატარა ბავშვების წივილ-კივილი ატყდა... ვიღაც მამაკაცი ამოპარულიყო ცოლშვილთან ერთად, სამი პატარა ბავშვი მოჰყავდათ, ალბათ შენიშნეს, ან შეიძლება ვიღაცამ დააბეზღა კიდეც, მეთვალყურე იარაღიანებთან და იგი ბავშვების მოთქმაში **„მამი არ წახვიდე!..“** ისე გაიყვანეს გემიდან არც უცდია წინააღდეგობის გაწევა. ამ შემთხვევას გაბრაზებული მეთვალყურეების გამაყრუებელი ჰაერში სროლები მოჰყვა. მე შემეშინდა, ხელები ყურებთან მივიდე, ჩემი პატარა ფუთა გამივარდა ხელიდან, ერთმა ავტომატიანმა სროლა-სროლით რომ ჩაგვიარა, ჩემს ფუთას ფეხი ჰკრა და გემის ღია მოაჯირიდან ქვედა სართულისკენ გადაუძახა. არც მიფიქრია ისე გავიწიე მოაჯირისკენ, ახლა უკვე ბებიამ მტაცა ხელი არ გადავარდესო... როგორც იქნა გემი დაიძრა. ჩვენ იქვე, იატაკზე მოვკალათდით სადაც ვიდექით. ვერ მოვისვენე სანამ არ გადავხედე, თუ სად დავარდა ჩემი ცელოფნის პარკი. მოაჯირს მივუახლოვდი. ქვედა სართულზე ჩავიხედე, კარგა ხანს ვეძებე, ვერ ვიპოვე. ბებიას ხმა მომესმა, **სად ხარ ბებიაო!..** მაშინ შევნიშნე ბაგირებს შორის ჩავარდნილი პალმის პაწაწინა ნერგი, წყლის შხეფები და ქარი საცაა ზღვაში გადააგდებდა. ჩემი წრიალი ავტომატიანმა მეთვალყურემ შენიშნა. შემეშინდა და გავჩუმდი. მომიახლოვდა და მითხრა – ის პალმა შენი იყო? თავი დავუქნიე და ჩუმად ჩავილაპარაკე – კი ჩემი იყო, ის პარკი თქვენ რომ წიხლი კარით და ზღვაში გადაუძახეთ, იმ პარკში ჩემი ბავშვობა იდო მეხუთე კლასამდე, ზღვამ რომ წაიღო!.. პაწაწინა პალმის ნერგმა თავის გადარჩენა სცადა ეტყობა... ისიც ხომ ცოცხალი არსებაა, მას არც დედა გამოჰყოლია, არც მამა და არც ბებია, იგი ჩემი იმედით მოდიოდა თავის გადასარჩენად, მაგრამ მე ვერ მოვუარე...

... ქობულეთში თანაკლასელებიც ვიპოვე. მცირე საოჯახო ნივთებთან ერთად სკოლის სურათებიც წამოეღოთ და, ჩემგან განსხვავებით, შერჩენოდათ კიდეც. ბევრი სურათი აღვადგინეთ და გავამრავლეთ. დღესაც მისით ვიგონებთ აფხაზეთში გატარებულ ბავშვობას...

...მალე დაღამდა და იატაკზე დავიძინეთ. გამთენიისას, არც თუ შორს პატარა ქალაქი გამოჩნდა. მახსოვს, ხალხი გახარებული ულოცავდა ერთმანეთს გადარჩენას, ქობულეთიაო, ამბობდნენ. ჩემი პალმა გამახსენდა და მოაჯირს მივვარდი... გული დამწყდა, იგი არ დამხვდა ბაგირებს შორის. გამახსენდა თუ როგორ უწეწავდა გუშინ საღამოს ზღვის ნიავი პატარა რტოებს... ვიფიქრე (უფრო ვისურვე!), ეტყობა მარაოსავით ფრთებმა აიყვანეს ალბათ ჰაერში და ვინ იცის, თავის გადარჩენა სცადა და იქნებ ნაპირსაც მიაღწია?!.

... სამ წელიწადში ქობულეთიდან თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. მეათე კლასში ვიყავი, როცა მამაჩემის ნაცნობმა აფხაზმა სურათი გამოგვიგზავნა დრანდიდან. ყვავილების ულამაზეს საბანმორგებულ პალმებს შორის მოჩანდა ჩვენი სახლი. იმ წელს დაიწყეს სწორედ თბილისში, თამარის ხიდთან, პალმების და დეკორატიული მცენარეების გასაყიდად გამოტანა. მახსოვს შავებში ჩაცმულ ქალბატონს ვკითხე ერთხელ – საიდან არის მეთქი ეს პალმები?

**– აფხაზეთიდან, ნანასქუა!..** სევდანარევი ხმით მიპასუხა.

... დღემდე მომყვება გულშიჩაყოლილი დარდი, ჩემი ეზოდან წამოღებულ პალმას რომ ვერ ვუპატრონე და გზაში დავკარგე... 16 წელი გავიდა მას შემდეგ. ნამეტნავად დატყობია პალმების გამყიდველ ქალს ეს დრო. მაშინვე ვიცანი, ისევ შავები ეცვა და ხმაც ძველებურად სევდიანი ჰქონდა. არ მიკითხავს საიდან არის-მეთქი პალმა. მივხვდი გულს ვატკენდი...

სახლში მოვიტანეთ ქოთანში გამოყვანილი პალმა. ბავშვები თავს ევლებიან, დილით რწყავენ და ყველას უყვებიან – **„ეს პალმა მამიკომ უყიდა დედიკოს, იმიტომ, რომ აფხაზეთიდან წამოღებული პალმა გზაში დაეკარგა, მაშინ, როცა დედიკო პატარა იყოო!..“**

ამას რომ ვისმენ თვალებზე ცრემლები მადგება.

**მარიმ და სანდრომ არც აფხაზეთი იციან სად არის და არც ის, რომ სამუდამოდ დავკარგეთ!..**

**ეკა თორდინავა**

**P.S.** ...ანაზდად გემზე ატეხილი ჩოჩქოლი გამახსენდა. თვალწინ დამიდგა ბავშვების კივილი: **„არ წახვიდე მამიკო!..“** ბავშვების გაქვავებული დედა, ხმას რომ ვერ იღებდა და ავტომატიან მეთვალყურეთა ჰაერში სროლა, უხეში ყვირილი და გინება... გაფითრებული მამის თვალები, ერთადერთი რითაც დაემშვიდობა ცოლ-შვილს!.. წიხლნაკრავი და ზღვაში გადასროლილი პატარა ფუთა, რომელსაც ჩემი უსაყვარლესი ალბომი გაყვა აფხაზეთში გატარებულ ბავშვობასთან ერთად... გემის კიჩოზე მოფარფატე პატარა პალმა, 16 წლის შემდეგ თბილისში, სიყვარულმა და შვილებმა რომ დამიბრუნა!..

ჩვენ ბედმა გაგვიღიმა და ჩვენი დედ-მამა იმ აფხაზმა გადმოგვიყვანა სამშვიდობოს, ჩვენი სახლის სურათი რომ გამოგვიგზავნა.

ის ბავშვები დიდები იქნებიან ახლა და მინდა ხმა მივაწვდინო მათ – **როგორ ხართ?**

ჩემო დებო და ძმებო, დედებო და მამებო, ბებიებო და ბაბუებო, შვილებო – მოვიკითხოთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, სადაც არ უნდა ვიყოთ!.. გვახსოვდეს, ჩვენი პატრონი არავინაა!..

თორემ ამბობენ: **„საბოლოოდ გაიყიდაო აფხაზეთი და მალე ისე იზამენ, ჩიტი ვერ გადაფრინდებაო ენგურს გაღმა!..“**

---

*ქართული სიტყვა "კაცი" მრავალმნიშვნელოვანი მცნებაა და იგი მხოლოდ "მამრს" არ ნიშნავს. კაცობა, უპირველესად დიდსულოვნების, რაინდობისა და ვაჟკაცობის (ამ მცნებასთან ნუ გააიგივებთ იმ ცხოველებს, რომელთაც მხოლოდ დაუცავი ადამიანების ცხვირ-პირის მტვრევა ხელეწიფებათ) სინონიმია. სწორედ ასეთ "კაცად" გვეგულვის შესანიშნავი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე დილარ ივარდავა. გაზეთმა "ასავალ-დასავალი" 2009 წლის ივნისის ნომერში გამოაქვეყნა ინტერვიუ ბატონ დილართან სათაურით "მიშა თავის ხალხს ზუსტად ისე ექცევა, როგორც ფაშისტები უსწორდებოდნენ ებრაელებს!", რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველებს.'*

**– ბატონო დილარ, ორ თვეზე მეტია საპროტესტო აქციები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, თუმცა, სააკაშვილის ხელისუფლება თავისი ნებით არც წასვლას აპირებს და არც არჩეული კურსის შეცვლას... როგორ უნდა ჩამოაცილონ ბატონი სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძელს, რომელსაც ასე გამეტებით არის ჩაფრენილი?**

– გეთანხმებით... სააკაშვილს აქვს ამბიცია, იწოდებოდეს პრეზიდენტად და სულერთია, რა გზით ექნება სავარძელი ხელში ჩაგდებული. გაყალბებული ხმებითა და უზნეო უმცროსი ბუშის ხელშეწყობით ის მეორედაც მოგვევლინა ხელისუფლების სათავეში. დემოკრატიული ფასეულობანი და ზნეობა მისტვის უცხოა. სახელმწიფოს მართვა სააკაშვილისთვის დროსტარების მსგავსი ხელობაა. ის აგრძელებს ქვიშის თოკის გრეხას. მის გარშემო მოკალათებული არიან ამადეუს ჰოფმანის პატარ-პატარა ცახესები და რაც მოესურვებათ, იმას სჩადიან. კანონი არ კანონობს და განიორწყლებული ხელისუფლება აგრძელებს ქვეყნის გაჩანაგებას. ლაგამწაყრილ პარლამენტარებს ბოლომდე განუზრახავთ ქვეყნის მოსოდომ-გომორება! 1934 წელს ჰერბერტ უელსის ნათქვამი გერმანიაზე ზუსტად ესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას. უელსი წერდა: ***"ის რაც გერმანიაში ხდება, – ეს არის ველური, ბნელი ძალების ლაშქრობა გონებისა და კულტურის წინააღმდეგ"***. ფაშისტები ხომ მოაზროვნე ადამიანებს **"გონების განავალს"** უწოდებდნენ. თუ ხედავთ რაიმე სხვაობას სააკაშვილის **"ჩარეცხილებსა"** და **"გონების განავალს"** შორის? სააკაშვილის ჰინდენბურგი ხომ შევარდნაძეა. ეს მან ასწავლა თავის შეგირდს ცრუ დაპირებები, ზღვა ტყუილი, თვითნებობანი, განუწყვეტელი ტრაბახი... ფაქტია – ***კალიგულებს და ჩინგისხანებს თავიანთი თაყვანისმცემლები ჰყავთ.*** სააკაშვილსაც თავის მაქებარი ურცხვი კასტა ჰყავს. სააკაშვილი თავისი ნებით პოსტის დამტოვებელი არ გახლავთ. ოპოზიციას იობის მოთმინებას და უსისხლოდ ამ დიქტატორის თავიდან მოშორებას ვუსურვებ!

**– თქვენი აზრით, რატომ გახშირდა მშვიდობიანი მომიტინგეებზე თავდასხმები და რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ვინც კი ჩრდილოეთისაკენ გააპარა მზერა, ყველა აგენტად მოინათლა? რას ეტყვით და რას ურჩევთ სააკაშვილს?**

– მიშა თავის ხალხს ზუსტად ისე ექცევა, როგორც ფაშისტები უსწორდებოდნენ ებრაელებს! პოსტის შენარჩუნებისათვის მზადაა, დანტე ალიგიერის ჯოჯოხეთის შვიდივე გარსი ააბრიალოს. მისი ზონდერბრიგადები გეგონება ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წიაღში გამოკვერესო. არ ინდობენ ქალებს, კაცებს, ჟურნალისტებს, ხოცავენ ახალგაზრდებს პირდაპირ ქუჩებში, ყრიან დილეგებში და მომიტინგეებზე არაადამიანურ ზეწოლას ახორციელებენ... ვინც ოპოზიციონერია, ის რუსეთის აგენტია, ხოლო აქციის ორგანიზატორები – რადიკალები. რამდენი წელია, რუსეთის აგენტობის ყბადაღებულ თემას წერტილი არ დაესვა. – ვინც ჩემთან არ დგას, ის ჩემი მტერია! – აი, სააკაშვილის მოქმედების კრედოც! ეს ნორმალური ადამიანის საქციელი არ არის! ***დაგვიანებული რომ არ იყოს და მას ქართველი კაცის ნათქვამი ესმოდეს, ვურჩევდი რამეს, თუმცა, მიხეილ სააკაშვილი უკვე შეიძულა ქართველმა ხალხმა, მან თავი ყველაფერში ისე გაამჟღავნა, რომ ძეხორციელი ვერაფერს ურჩევს.*** ასეთ პიროვნებაზეა თქმული – შეაყარე კედელს ცერცვიო. ის თავისუფალია ისეთი ქიმერისაგან, რასაც სინდისი ჰქვია!

**– ბატონო დილარ, ხშირად ადარებენ ბატონ ზვიად გამსახურდიას და სააკაშვილს ერთურთს. რამდენად მართებულია ეს შედარება და რა აქვს ამ ორ ადამიანს საერთო?**

– რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ღვთის შვილს, საქართველოს სიყვარულით დაფერფლილ გამსახურდიას ჭკუანაღრძობ და სადო-მაზოხისტ სააკაშვილთან? ზვიადის პიროვნული ტრაგედია ისაა, რომ მან თავის თანამედროვეებს საუკუნეებით გაუსწრო. მისი სიდიადის ბარომეტრი ხალხია. სხვანაირად, აბა როგორ შეიძლება შეფასდეს სიკვდილიდან 15 წლის შემდეგაც ზღვა ჭირისუფალთა ასეთი აბობოქრება, რაც ჩვენ ვიხილეთ მისი გადმოსვენებისას იმ თოვლჭყაპიან შუაღამეს დარიალის სამხედრო გზაზე... ცოცხალმა სააკაშვილმა სამშობლოში დაბრუნებაც არ აპატია ჭეშმარიტ მამულიშვილს. გახსოვთ, როგორი დამბლადაცემული, დამუნჯებული გამოვიდა პარლამენტის შენობიდან და უსიტყვოდ გაშორდა წამებულ ცხედარს?!

სრული მკრეხელობაა ზვიადის შედარება **"კაგებესა"** და შევარდნაძის გაზრდილ სააკაშვილთან. ზვიადისტი 1992 წლის 5 იანვრიდან – კანონიერი მთავრობის დამხობის დღიდან გახლავართ და... ალბათ, ამ ღირსეულ სახელს სიკვდილამდე ვერ შეველევი! მინდა, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ: ვინც ზვიადსა და სააკაშვილს შორის პარალელს ავლებს, ის აფრაკადაა! ისიც თქვეს, თითქოს ზვიადის სული მიშაში ჩასახლდაო. რა სული, რის სული! სააკაშვილს ვინ მისცა სულიერება, ეროვნება, მსოფლმხედველობა, პატრიოტული გრძნობა?! რაც მან ე.წ. თავისი პრეზიდენტობის ჟამს საქართველოს არგუნა – ჩვენს არცერთ მომხდურს არ გაუკეთებია. და თუ დროზე არ მოვიშორეთ, წინ კიდევ უამრავი განსაცდელი გველის!

ესაუბრა

**ბექა სივსივაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედუარდ შევარდნაძე – ნიღბით და უნიღბოდ



ედუარდ შევარდნაძის დასახასიათებლად მოვიყვან რიგითი ქართველი მოქალაქის ვალიკო შონიას სიტყვებს, რომელიც მან გაზეთ **"ასავალ-დასავალში"** გამოაქვეყნა 2007 წლის 26 მარტს: **"ედუარდ შევარდნაძე მიმაჩნია საქართველოს მოსისხლე მტრად, არაკაცად, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიის თავისი სავარძლის შენარჩუნების ფასად რუსეთისათვის ჩამბარებლად. იგი არის სხვა აურაცხელი სიბოროტის ჩამდენი, რის გამოც მას ხალხი "ადამიანის ფიტულში ჩაბუდებულ კობრას" ეძახის, მისი სახის დანახვა კი ადამიანებს სწორედ რომ უხსენებელ ქვეწარმავალს აგონებს და უდიდეს პროტესტს იწვევს".**

მიუხედავად, კომუნისტურ ეპოქაში ჩადენილი ამდენი უკეთური საქმისა, მისმა სიბოროტემ განსაკუთრებით იჩინა თავი 1992 წლის შემდეგ, როცა მან საქართველოში მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია. კარგად იცოდა რა, რომ აფხაზეთი, წინასწარი ბინძური გარიგების თანახმად უნდა ჩაებარებინა რუსებისათვის, მან შეგნებულად შეაჟლიტა ქართველი ხალხი მის მიერვე აფხაზეთში პროვოცირებულ უაზრო ძმათამკვლელ ომს. ამის თაობაზე ერთხელ თავად დაწერა პრესაში: **"მე ვიცოდი, აფხაზეთი რომ დაკარგულია და ვერასოდეს დავიბრუნებდით".** საინტერესოა, მაშინ რატომ შეაჟლიტა ამდენი ქართველი ხალხი ამ ვაიმთავარსარდალმა ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ სეპარატისტებსა და კონფედერატებს? ვერ ხვდებოდა შევარდნაძე, რომ ამ სიტყვებით მისდაუნებლიედ ქართველებისადმი თავის მტრობასა და ვერაგულ განზრახვას გააჟღერებდა, თორემ კრინტს არ დაძრავდა.

გვინდა კიდევ ერთი ფაქტი შევახსენოთ მკითხველს: 1976 წელს, თბილისში ვოროშილოვგრადის **"ზარიასა" და თბილისის "დინამოს"** საფეხბურთო მატჩის დროს მსაჯის მიკერძოებით აღშფოთებული მაყურებელი ფეხბურთის მოედანზე შეიჭრა და რამდენიმე წუთში **"დინამოს"** სტადიონის სპორტკომპლექსში უმართავი პროცესები განვითარდა. შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხის ამგვარი რისხვისა და წამიერი აფეთქების საბაბს ფეხბურთის ეროვნებით არაქართველი მსაჯის არაკორექტულობა იძლეოდა, მიზეზი კი ქართველი ხალხის ზიზღი გახლდათ საბჭოთა სისტემისადმი. ამიტომ, შექმნილი სიტუაციით დამფრთხალი ედუარდ შევარდნაძე ფეხბურთის მოედანზე გადავიდა, აღშფოთებული ხალხი დაამშვიდა და სტადიონს გარეთ გაიტყუა, რითაც კონფლიქტი ჩაცხრა კიდეც. მოგვიანებით, ქართულმა კომუნისტურმა პრესამ შევარდნაძე უშიშარ პიროვნებად და ლამის ეროვნულ გმირად წარმოადგინა. სინამდვილე კი ის გახლავთ, რომ ანგარებიანი ადამიანისაგან, რომელიც გასამრჯელოს გარეშე სალამსაც კი ვერ გაიმეტებს, ყოველგვარი გმირობის გამოვლინება სრულიად უცხოა. შევარდნაძემ მაშინ მხოლოდ საკუთარი კარიერა გადაარჩინა, რადგან, ცენტრის მიერ დანიშნული სათანადო გამოძიების შემდეგ დადგინდებოდა ხალხის აღშფოთების ჭეშმარიტი მიზეზი – მისი სიძულვილი და შეურიგებლობა კომპარტიის მიერ საბჭოთა კავშირის მცირერიცხოვან ერებზე თავსმოხვეული კოლონიალური პოლიტიკისადმი და არა ფეხბურთის მსაჯის მიკერძოება. ეს კი, საკმარისი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს არადამაკმაყოფილებლად მიეჩნია შევარდნაძის მუშაობა ქართველთა მასების კომუნისტური ინტერნაციონალიზმის იდეით აღზრდის საქმეში და გაენთავისუფლებინა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

აი, რა გახლდათ ედუარდ შევარდნაძის ამგვარი **"გმირული თავგანწირვის"** ნამდვილი მიზეზი!

შევარდნაძე მუდამ ფიქრობდა და აქცენტს აკეთებდა მოხვეჭაზე, ძალადობაზე, ქურდობაზე, შურისძიებაზე, დასმენაზე, მოტყუებაზე და სხვა არაკორექტულ საქციელზე. მაგრამ, იგი ამას აკეთებდა იმდენად მაღალოსტატურად და ვუალირებულად, რომ ძნელი ხდებოდა სიცრუესა და თაღლითობაში მისი გამოაშკარავება. სამწუხაროდ, გერმანელებმა დღემდე ვერ გაიგეს, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე შეშვება არ შეიძლება, რომ იგი უნდა გააძევონ გერმანიიდან და მისი, როგორც თანამედროვეობის დიდი ინკვიზიტორისა და ცინიკოსი მკრეხელის სახელი ანათემას უნდა გადასცენ.

საბედნიეროდ, ქართველებმა დროულად გაშიფრეს შევარდნაძის მზაკვრული გეგმები, ამიტომაც ეზიზღებოდა მას საქართველო და ქართველები. დედამიწის ზურგზე არ არსებობს სიბოროტე, რაც მას არ ჩაედინოს ქართველებისა და საქართველოს მიმართ. ამიტომაც, სიკვდილის შემდგომ იგი საფლავს გერმანიაში იმზადებს, რადგანაც ძალიან კარგად იცის, რომ ქართველები მისი გვამის ჩასასვენებელს საწყევლ ადგილად აქცევენ. მორალური და ზნეობრივი საფლავი კი მან იმ დღიდან გაითხარა საქართველოში, როცა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა.

თუმცა, შევარდნაძემ მაინც გამოიჩინა გამჭრიახობა (შეიძლება ამ ნაბიჯისაკენ მას თვითშენარჩუნების გამძაფრებულმა ინსტინქტმაც უბიძგა) და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამშობლოში გადმოსვენების დღეებში ქვეყანა დატოვა და გერმანიაში გაემგზავრა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის დაბადების დღეზე მიწვევის საბაბით. სინამდვილეში კი ყველამ კარგად იცის, რომ იგი ევროპაში გაემგზავრა ბადენ-ბადენში მდებარე საკუთარი სასახლის მოსაწესრიგებლად და ალბათ იმ შავი ფულის გასათეთრებლად, რასაც იგი საკუთარი კრიმინალური ბიზნესით საქართველოში ჯერ კიდევ იხვეჭს იმ ხელისუფალთა ხელშეწყობით, რომელიც ვითომ რევოლუციის გზით მოვიდა საქართველოში. ამასთან, საქართველოდან შეშინებული თაგვივით გერმანიაში გაპარვით მან, თუნდაც დროებით, თავიდან აირიდა ის მასიური რისხვა, რაც შეიძლებოდა საქართველოს მოსახლეობისაგან თავს დასტეხოდა, როგორც ზვიად გამსახურდიას მკვლელს და საქართველოს დამაქცევარს. უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ ის, რომ მეოცე საუკუნეში ორ ადამიანს ტრაგედიად ექცა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა საკუთარი ტოლერანტობა და ფაქიზი დამოკიდებულება ხალხისადმი. ესენი იყვნენ რუსი მხეცების მიერ საკუთარ მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად დახვრეტილი რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

მაგრამ, იგი ჩვეული ცინიზმით ცდილობს გაამართლოს თავისი საქციელი, რის თაობაზეც ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გაზეთს: **"თხუთმეტ დღეზე მეტხანს მომიწია გერმანიაში დარჩენა. ბოლო წლებში მარჯვენა მკლავმა შემაწუხა და გერმანიაში ყოფნისას ოპერაციაც გავიკეთე გერმანიიდან რომ დავბრუნდი, ზვიადი დასაფლავებული იყო, გლოვაც დამთავრებული ასეა ჩვენი ხალხი – სანამ ცოცხალი ხარ, ზოგი გლანძღავს, ზოგი გაქებს, მაგრამ როცა მოკვდები – ყველა გაქებს".** მართლაც ცინიკოსი უნდა იყო ადამიანი, ასე მიკერძოებით რომ შეაფასო იმ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ხსოვნისადმი მოწიწება, რომელიც შენს ინტრიგებსა და ანგარებით მიზნებს შეეწირა. ჩვენ არ გვსურს ვინმეს მოვუსწრაფოთ სიცოცხლე – ღმერთმა იმდენ ხანს აცოცხლოს ედუარდ შევარდნაძე, რომ სიკვდილი სანატრელი გაუხდეს, მაგრამ შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ, როცა იგი ამ ქვეყნიერებას გაშორდება, არავის, არასოდეს, მასზე თბილი სიტყვა არ წამოსცდება მისი ოჯახის წევრებისა და იმ არაკეთილსინდისიერ ადამიანთა ვიწრო წრის გარდა, რომელთაც შევარდნაძის წაქეზებითა და ხელშეწყობით დიდძალი ფული იშოვნეს და მატერიალურად საბოლოოდ უზრუნველჰყვეს თავიანთი უბადრუკი სულიერი და ფიზიკური ყოფა.

თუმცა, ყველაფერს აქვს როგორც დასაწყისი, ასევე დასასრული და შევარდნაძეც ამქვეყნიურ ცხოვრებაში დიდხანს არ შეიძლება დარჩეს დაუსჯელი. სამართალი ოდესმე უეჭველად იზეიმებს!

შევარდნაძეს იმდენი სასიკვდილო ცოდვა აქვს ჩადენილი ადამიანებისა და ღვთის წინაშე, რომ პასუხისგებას ამ ქვეყნიდან რომ გაექცეს იმ ქვეყანაში გარდასვლით, სულ ერთია, მაინც მოუწევს საშინელ სამსჯავროზე წარდგომა, რის შემდეგაც, უეჭველია, რომ ჯოჯოხეთში გზა ექნება გახსნილი.

მაგრამ, ედუარდ შევარდნაძე მხოლოდ ტყვიით როდი ებრძოდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და მის მთავარ საყრდენს – ეროვნულ მოძრაობას საქართველოში. მასონმა და ყოველგვარ ეროვნულთან შეურიგებელმა მებრძოლმა შევარდნაძემ ეროვნულ სულისკვეთებასთან ბრძოლის თავისებური იარაღი შეიმუშავა. ნომენკლატურული კაპიტალიზმის დამკვიდრებით მან საკუთარ მონურ მორჩილებაში მყოფ ჩინოვნიკებს ქვეყნის გაყვლეფის უფლება დაუმტკიცა, რაც მათი მოკლე ხანში გამდიდრების საშუალებად იქცა და თანაც ძლიერი კონტროლი განიმტკიცა მათ საქმიანობაზე. ხელისუფლების ხელდასხმით იქმნებოდა სხვადასხვა პირამიდალური სტრუქტურები, საფონდო და სასაქონლო ბირჟები, ის თაღლითური ორგანიზაციები, რომლებიც დაურიდებლად ცანცლავდნენ ხალხს უკანასკნელ, შავი დღისათვის გადანახულ კაპიკებს და შემდეგ უგზო-უკვლოდ ორთქლდებოდნენ, ჩადენილი ავკაცობისათვის კი მათ პასუხს არავინ სთხოვდა. სწორედ ხალხისაგან სისხლის გამოწოვის შედეგად მოევლინენ ქვეყანას ნომენკლატურული მილიონერები ლეკიშვილები, მაღლაკელიძეები, გამყრელიძეები, რჩეულიშვილები, აბულაძეები, სიორიძეები, ავქოფოვები და სხვა გადაჯიშებული ადამიანები. მათი გამდიდრება კი ქართული ეროვნული მოძრაობის წევრებისა და მთლიანად საქართველის რიგითი მოსახლეობის გაღატაკების მიზეზად იქცა, რამაც მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ ჩაუქრო ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის მიღების სურვილი და ლამის ქუჩებში ხელგაწვდილ მათხოვრებად აქცია იგი. ამით სამუდამოდ დაასამარა ედუარდ შევარდნაძემ ეროვნული მოძრაობა საქართველოში, მისი დანატოვარი პარტიული აპარატი და ოლიგარქოკრატია კი კვლავ შევარდნაძისეული მეთოდებით აგრძელებს ყოველგვარ ქართულ ეროვნულსა და ტრადიციულთან დაუნდობელ ბრძოლას, რაზედაც საქართველოს ეკონომიკის, განათლების, მედიცინის თუ სხვა სფეროებში საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებისა და მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა მეტყველებს.

შევარდნაძე რომ ეთნიკური ქართველი არ გახლავთ, ამას მრავალი საგაზეთო პუბლიკაცია და მისივე ხელით შევსებული ანკეტა ადასტურებს. თვითმხილველთა გადმოცემის თანახმად დედამისი მარია გიტლინგი ბოლნისელი, ე.ი. კატარინენფელდელი გერმანელი ქალბატონი ყოფილა, სადაც გერმანიიდან კოლონისტებად ჩამოსული მონათლული ებრაელები ცხოვრობდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სულგანათლებული ქალბატონი მთლად საფუძვლიანად არ იყო მონათლული, რადგან 1963 წელს, როცა უხსენებელი თბილისის პირველი მაისის პარტიის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა და როგორც საკავშირო კომპარტიის ყრილობის დელეგატი მოსკოვში მიემგზავრებოდა, სპეციალური ანკეტის ეროვნების მიმანიშნებელ გრაფაში საკუთარი ხელით ჩასწერა – **"ებრაელი".** (აქვე განვმარტავთ, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს იმ ებრაელებისა და სომხების საწინააღმდეგო, რომლებიც ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან საქართველოსა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და არასოდეს დაგვიშურებია კეთილი სიტყვები და სიყვარული მათ მიმართ. მაგრამ, ყოველთვის წინ აღვუდგებით იმ სომხებსა და ებრაელებს, რომლებიც მალავენ თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობას და ქართულ გვარს ამოფარებულები ყველაფერს აკეთებენ საქართველოსა და ქართველი ერის საზიანოდ. არავისათვის დამალული არ გახლავთ ის ამბავი, რომ ჩვენ ასევე დაუნდობლად ვებრძვით იმ უჯიშო ქართველებსაც, რომელთაც საკუთარ ინტერესებს ანაცვალეს საქართველოს კეთილდღეობა, რისთვისაც მათ სახელებს მარადჟამს წყევლა-კრულვით მოიხსენიებს ქართველი ერი).

**(დასასრული)**

**"ციტატა-შეხსენება**

**იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურეს სიღარიბეში იმყოფება, ხოლო ცხოვრების დონე და ხარისხი ერის გადაშენებას განაპირობებს, ელიტას, თუ ეს ეროვნული ელიტაა, უფლება არა აქვს ფუფუნებაში იცხოვროს! ეს ზნეობრივი დანაშაულია. აბა როგორ ცხოვრობს ჩვენი ელიტა? რა ღირს ჩვენი სახელმწიფო თუ შემოქმედებითი ნომენკლატურის შვილებისა და შვილისშვილების სწავლა უცხოეთის პრესტიჟულ კოლეჯებში? რა ჯდება მოდად ქცეული მკურნალობა საზღვარგარეთ? და ეს ხდება მაშინ, როდესაც სახსრების არარსებობის გამო ათასობით ბავშვი სახელმძღვანელოს გარეშეა დარჩენილი, ხოლო ათასობით თანამემამულე უბრალო ავადმყოფობისაგან კვდება, ვინაიდან საშუალება არა აქვთ საავადმყოფოს მიმართონ ან წამალი იყიდონ! შეიძლება კი ასეთმა "ელიტამ" თავი ჩათვალოს ერის განუყოფელ ნაწილად? არა, არ შეიძლება, ამის მორალური უფლება არა აქვთ!**

**ალექსანდრე ჭაჭია**

**1997 წლის მაისი".**

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

# გერმანია — 2006 წელი



მსოფლიოს მეთვრამეტე ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას ხუთი ქვეყანა: ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, სამხრეთ აფრიკა და მაროკო აცხადებდა, საბოლოოდ კი გერმანიამ გაიმარჯვა.

მეთვრამეტე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის 31 ადგილისათვის ბრძოლაში ჩაება 197 ქვეყანა, ხოლო გერმანიის ნაკრებმა კი, როგორც ტურნირის მასპინძელმა, მონაწილეობის უფლება ექსკლუზიურად მიიღო. ასეთივე უფლებით ისარგებლეს ბრაზილიელებმა, როგორც მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონებმა.

მსოფლიო ჩემპიონატის გახსნით მატჩში გერმანელებმა 4:2 დაამარცხეს კოსტა-რიკა, მეორე შეხვედრაში კი პოლონელები 0:2 დამარცხდნენ ეკვადორთან. მომდევნო შეხვედრებში გერმანიამ სძლია პოლონეთს (1:0) და ეკვადორს (3:0), რომელთაც მოიპოვეს ჯგუფში პირველი ადგილი.

მეორე მერვედფინალური საგზური კი მოიპოვა ეკვადორმა. **B** ჯგუფში პირველ-მეორე ადგილი დაიკავეს ინგლისმა და შვედეთმა. **C** ჯგუფში თავიდანვე ფავორიტებად ითვლებოდნენ არგენტინის და ჰოლანდიის ნაკრებები, რომელთაც შანსი არ დაუტოვეს კოტ-დიუვარისა და სერბეთის ნაკრებებს. ამ ჯგუფში აღსანიშნავია არგენტინის ნაკრების მიერ სერბების განადგურება (6:0).

**D** ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი (9) მოაგროვა პორტუგალიის ეროვნულმა ნაკრებმა. მომდევნო ადგილი კი 4 ქულით მექსიკელებმა დაიკავეს.

საინტერესო ორთაბრძოლები წარიმართა **E** ჯგუფში, რომელშიც იტალიელებმა ერთნაირი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს განისა და ჩეხეთის ნაკრებები, ხოლო **აშშ**-სთან ფრედ ითამაშეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ამ ჯგუფში მეორე ფავორიტად ჩეხებს მიიჩნევდნენ, მაგრამ განის ნაკრებთან 0:2 დამარცხების შემდეგ განელებმა ამერიკელებსაც სძლიეს და ფინალურ ტურნირში გავიდნენ.

**F** ჯგუფში სამივე მატჩი მოიგო მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა ბრაზილიამ, მეორე ადგილი კი ავსტრალიელებმა მოიპოვეს, რომელთაც უკან მოიტოვეს ხორვატები და იაპონელები. **G** ჯგუფში პირველი-მეორე ადგილი დაიკავეს შვეიცარელებმა და ფრანგებმა. **H** ჯგუფში კი ესპანელებმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს, მეორე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ.

მერვედფინალურ დაპირისპირებებში გერმანელებმა პოდოლსკის დუბლის წყალობით დაამარცხეს შვედები (2:0), არგენტინელებმა დამატებით დროში სძლიეს მექსიკელებს, პორტუგალიამ სძლია ჰოლანდიას, ინგლისმა ეკვადორს, იტალიამ კი ავსტრალიას. უკრაინელებმა შვეიცარელები დაამარცხეს, ფრანგებმა — ესპანელები, ბრაზილიამ კი განელებს მოუგო.

მეოთხედფინალური დაპირისპირებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანელთა გამარჯვება არგენტინის ნაკრებთან, რომელთაც პენალტების სერიაში 4:2 დაამარცხეს მეტოქე. იტალიელებმა კი ძამროტასა და ტონის მიერ გატანილი გოლებით სძლიეს უკრაინელებს. ფრანგებმა კვლავ იმარჯვეს ბრაზილიელებთან ბრძოლაში და მრისხანე მეტოქე ტურნირიდან გამოთიშეს. პორტუგალიელებმა პენალტების სერიით დაამარცხეს ინგლისელები.

ნახევარფინალში მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ფრანგებმა (1:0) მოუგეს პორტუგალიელებს, იტალიელებმა კი დამატებით დროში სძლიეს გერმანელებს, რომელთაც, შემდეგ, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში 3:1 დაამარცხეს პორტუგალიელები და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონენ.

ფინალში ერთმანეთს იტალიელები და ფრანგები დაუპირისპირდნენ. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, პენალტების სერიაში კი იტალიელებმა იმარჯვეს (5:3) და მეოთხედ დაეპატრონენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

გერმანიაში ჩატარებულმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ევროპაში მსოფლიო ჩემპიონობის ტიტულს ევროპელები ეუფლებიან. მხოლოდ ერთხელ დაირღვა ეს ტრადიცია — 1958 წელს შვედეთში, როცა იქ მსოფლიო ჩემპიონები ბრაზილიელები გახდნენ.

**გიორგი ჯალაღანია**

**ფინალი**

იტალია — საფრანგეთი 5:3 (პენალტებით0

09.07. 2006 წ. ბერლინის სტადიონი

74.000 მაყურებელი.

**მსაჯი:** ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა).

**იტალია:** ბუფონი, გროსო, კანავარო, გატუზო (კაპიტანი), ტონი, ტოტი (დეროსი 61), კამონარეზი (დელ პიერო), ძამბროტა, პეროტა (იაკინტა), პირლო, მატერაცი;

**საფრანგეთი:** ბარტეზი, აბიდალი, ვიერა (დიარა 56), გალასი, მაკელელე, მალუდა, ზიდანი (კაპიტანი), ანრი (ვილტორი 107), ტურამი, სანიოლი, რიბერი (ტრეზეგე 100).

გოლები: ზიდანი (7), მატერაცი (19).

**ბომბარდირები**

მიროსლავ კლოზე (გერმანია) — 5 ბურთი;

დევიდ ვილია (ესპანეთი) — 3 ბურთი;

ტორესი (ესპანეთი) — 3 ბურთი;

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია), რიკარდუ (პორტუგალია);

**მცველები:** რობერტო აიალა (არგენტინა), ჯონ ტერი (ინგლისი), ლილიამ ტიურამი (საფრანგეთი), ფილიპ ლამი (გერმანია), ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა (ორივე იტალია) რიკარდუ კარვალიო (პორტუგალია).

**ნახევარმცველები:** ზე რობერტო (ბრაზილია), პატრიკ ვიერა, ზინედინ ზიდანი (ორივე საფრანგეთი), მიხეილ ბალაკი (გერმანია), ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო (ორივე გერმანია) ლუიშ ფიგუ, მანიშე რიბეირუ (ორივე პორტუგალია).

**თავდამსხმელები:** ერნან კრესპო (არგენტინა), ტიერი ანრი (საფრანგეთია), მიროსლავ კლოზე (გერმანია), ლუკა ტონი, ფრანჩესკო ტოტი (ორივე იტალია).

## იუმორი

— მამა, შეგიძლია მთელი ბოთლი წვენის დალევა? — ეკითხება პატარა გოგონა.

— არა, შვილო. წვენი არაყი არ არის, უცებ ვერ დალევ! — პასუხობს მამა.

* * *

პლაჟზე, ოკეანის პირას, საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი ტურისტი ქალი წინ და უკან დადის. უცებ გიდს შენიშნავს და შეშინებული ეკითხება:

— იცით, საბანაოდ მინდა შესვლა, წყალში რვაფეხები და კიბორჩხალები ხომ არ არის?

— იყვნენ, ქალბატონო, მაგრამ ზვიგენებმა ყველა შეჭამეს.

* * *

— ოდესმე შვებულება თუ დაგიგეგმავს?

— აზრი არა აქვს: ცოლი წყვეტს — საით გავემგზავრებით; შეფი წყვეტს — როდის მივემგზავრებით; ბანკი წყვეტს — რამდენი ხნით მივემგზავრებით...

* * *

— რა განსხვავებაა პოლიტიკოსსა და პარაზიტს შორის?

—სიტყვა "პოლიტიკოსი" ათი ასოსგან შედგება.

## სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

- **გემი დატვირთული ნახო** — დიდი დოვლათისა და სიმდიდრის ნიშანია;
- **გვამი მტრისა საფლავიდან აღდგენილი ნახო** — სიხარულის ნიშანია;
- **გამხმარი ხე** — სიკვდილისა და ხანგრძლივი ავადმყოფობის ნიშანია;
- **განძის პოვნა** — დარდი და ვარამია და ფიქრი მოიმატო;
- **გალავნის აშენება** — იმედია და კეთილი ამბავის ნიშანია;
- **გუბე აღელვებული** — ცუდსა და არეულ საქმეებს მოასწავებს;
- **გუბეში გადიოდე** — ფათერაკს გადაეყარო, იჩხუბო ვისმესთან;
- **გვირგვინოსნობა ქორწინებულთათვის** — დაქვრივების ნიშანია;
- **გვირგვინოსნობა ქალწულთათვის** — დაქორწინების ნიშანია;
- **გვირგვინის დაჭერა** — ვისმეს სიყვარულს გულს მოუგებ;
- **გვრიტის ხელიდან გაფრენა** —სიყვარულს გულიდან გაიშორებ;
- **გველი ორად გაწყვიტო** — ძალიან საკეთილოს ნიშნავს.

## 50 წელი ეროვნულ-პატრიოტული გზით

მარტვილი უდიდესი მოღვაწეების — **იოანე მინჩხის, გიორგი ჭყონდიდელის და ამბროსი ხელაიას** დაბადების ადგილია. აქ იქმნებოდა თვალსაჩინო ჰიმნოგრაფიული ძეგლები, პირველი ქართული სახელმძღვანელოები ლოღიკასა და ფსიქოლოგიაში. აქ იყო სწავლა-განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სავანე, რომელშიც მოღვაწეობდა გიორგი მთაწმინდელი — მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი.

მარტვილთან დაკავშირებულია საქართველოს არაერთი გამორჩეული სახელი — **ანტონ ჭყონდიდელ-ცაგერელი, თედო სახოკია, იონა მეუნარგია, იპოლიტე ვართაგავა, კონდრატე თათარიშვილი, პეტრე ჭარაია, სერგი ჯიქია, სერგი დანელია, აკაკი გაწერელია, გივი ჟორდანია, მიხეილ და დავით კვესელავები, აკაკი გახოკიძე, სოსო სიგუა, რომან რურუა, მურთაზ ხურცილავა** და ბევრი სხვანი.

ამიტომ ამ ცნობილ სავანეში სრულიად კანონზომიერი იყო, 1957 წელს, საფუძველი ჩაყროდა მარტვილის მუზეუმს, კულტურისა და განათლების, ქართველი ერის მდიდარი წარსულის გაცნობისა და კვლევის გამორჩეულ კერას, რომელსაც დაარსებიდან ხემძღვანელობდა დიდი შემოქმედი კაცი, მეცნიერი და მოაზროვნე, ქართული ცნობიერების მატარებელი პიროვნება, ბატონი **გივი ელიავა**.

მუზეუმს უდიდესი წვლილი მიუძღვის სამეგრელოს ლექსიკოგრაფიული და ეტიმოლოგიური კვლევის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის შესწავლის საქმეში, ძველი კოლხური ვაზის ჯიშების მოძიებასა და მოშენებაში, ჭყონდიდლობის დიდი დღესასწაულის დამკვიდრებაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეროვნული მუზეუმის მნახველთა შთაბეჭდილებების წიგნს ამშვენებს მსოფლიო სახელის მქონე უცხოელის და ქართველის გვარი.

მარტვილის მუზეუმი იმედით, რწმენით და სიყვარულით იქმნებოდა. დარწმუნებული ვარ იქ მოღვაწე ახალი თაობა წარმატებით გააგრძელებს 50 წლის წინ დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს, რომ შემდგომ თაობებს შეუანარჩუნდეს სამეგრელოს განუმეორებელი სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა.

ღმერთმა ნუ მოაკლოს ამ საიუბილეო ჟამს მუზეუმის შესანიშნავ კოლექტივს, — ერთიანობა, სიმტკიცე, რწმენა, სიყვარული და იმედი.

**2007 წლის 7 ნოემბერი**

**იგორ კვესელავა,**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი. პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალების“ მთავარი რედაქტორი.*




გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

anaklia@.web.de

e-mail:elisabetthal@yahoo.de

რეკლამის განთავსება

899-57-33-22

72-37-35

38-41-97